დანართი №2

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა;
"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი);
"საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამა;
"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა;
"ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამა;
"საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

17.09.2024 – 19.09.2024.

20.12.2024

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ..... Error! Bookmark not defined.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....Error! Bookmark not defined.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....Error! Bookmark not defined.

1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... 16

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 56

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა..... 71

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 81

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....Error! Bookmark not defined.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	Asnate Upmace/ასნათ უმპაკი, ლატვიის უნივერსიტეტი/აკადემიური საინფორმაციო ცენტრი, ლატვია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	იზა ბუკია, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნანული ოქრუაშვილი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მერაბიშვილი, შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება/ Business Administration	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)Business Administration	საჯარო მმართველობა / Public Administration	ბიზნესის ადმინისტრირება / Business Administration	ადამიანური რესურსების მართვა / Human Resource Management	საჯარო მმართველობა / Public Administration
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of Business Administration in Management	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of Business Administration	საჯარო მმართველობის ბაკალავრი / Bachelor of Public Administration	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი / Master of Business Administration	ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი / Master of Human Resource Management	საჯარო მმართველობის მაგისტრი / Master of Public
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება.	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება.	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის	-	-	-	-	-	-

სწავლების უფლების მითითება[1]						
სწავლების ენა	ქართული ინგლისური კომპონენტებით	ინგლისური	ქართული	ქართული ინგლისური კომპონენტებით	ქართული ინგლისური კომპონენტებით	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	240	120	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული (გადაწყვეტილების N 121, 30 მაისი 2019)	აკრედიტებული (გადაწყვეტილების N 49 21 იანვარი, 2019)	ახალი	აკრედიტებული (გადაწყვეტილების N 38, 3 ივლისი 2017)	აკრედიტებული (გადაწყვეტილების N 952863, 12 აგვისტო, 2022)	აკრედიტებული (გადაწყვეტილების N 781890, 24 ივნისი, 2022)

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

კლასტერში დაჯგუფებულია 6 საგანმანათლებლო პროგრამა - 3 საბაკალავრო და 3 სამაგისტრო. კლასტერში ერთადერთი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა არის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამა, თუმცა ორი სამაგისტრო პროგრამა "ადამიანური რესურსების მართვა" და "საჯარო მმართველობა" ასევე შედარებით ახალია.

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა დამტკიცდა 2012 წელს. პროგრამას ამჟამად ჰყავს 64 აქტიური სტუდენტი: პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა წლების განმავლობაში მცირდებოდა, თუმცა ბოლო 3 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო და 2023 წელს 80 ადგილს შეადგენდა. თუმცა, ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა შედარებით დაბალი იყო - დაახლოებით 20 სტუდენტი ყოველწლიურად, ხოლო 2021 წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა - 8 სტუდენტი. საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 45 პერსონალი, მათ შორის 19 აკადემიური და 26 მოწვეული.

"ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა 2017 წელს დამტკიცდა. ბოლო 4 წლის განმავლობაში სტაბილურად ცხადდებოდა 10 ადგილი. თუმცა, ჩარიცხვების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა: 2021 წელს ჩაირიცხა 39 სტუდენტი, 2023 წელს 4 სტუდენტი. ამჟამად პროგრამას 6 აქტიური სტუდენტი ჰყავს. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 38 პერსონალი - 16 აკადემიური და 22 მოწვეული.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია პირველად 2017 წელს გაიარა. გამოცხადებული ადგილების რაოდენობა 30-დან 50-მდე მერყეობდა. 2019-2023 წლებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მერყეობდა 6-დან 19-მდე. პროგრამას ამჟამად 16 აქტიური სტუდენტი ჰყავს. პროგრამას ახორციელებს 22 პერსონალი, მათ შორის - 13 აკადემიური და 9 მოწვეული.

"ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამა 2022 წელს დამტკიცდა. სამაგისტრო პროგრამაზე პირველი მიღება 2023 წელს განხორციელდა, როდესაც გამოცხადდა 20 ადგილი და ჩაირიცხა 7 სტუდენტი. პროგრამას ახორციელებს 26 პერსონალი, მათ შორის 11 აკადემიური და 15 მოწვეული.

"საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამა 2024 წელს დამტკიცდა. პროგრამას განახორციელებს 43 პერსონალი, მათ შორის 27 აკადემიური და 16 მოწვეული. პროგრამაზე ჩარიცხვის მონაცემები ჯერ არ არის, რადგან მიღება ჯერ არ მომხდარა.

"საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა 2020 წელს დამტკიცდა. პროგრამას ახორციელებს 25 პერსონალი, მათ შორის 17 აკადემიური და 8 მოწვეული. სამაგისტრო

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

პროგრამაზე ყოველწლიურად ცხადდებოდა 30 ადგილი, ხოლო ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა მერყეობდა 1-დან (2020 წ) 10-მდე (2022 წ).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ადგილზე ვიზიტი 2024 წლის 17-19 ოქტომბერს განხორციელდა. ადგილზე ვიზიტის დროს აკრედიტაციის ჯგუფი შეხვდა: ადმინისტრაციულ პერსონალს, მათ შორის უმაღლეს ხელმძღვანელობას, თვითშეფასების ჯგუფს, თითოეული პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამების მიხედვით დაჯგუფებულ აკადემიურ პერსონალს, ყველა პროგრამის მოწვეულ პერსონალს, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს, დამსაქმებლებს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სტუდენტური კამპუსი და ახლად აშენებული საერთო საცხოვრებლები, სადაც მომავალში უნივერსიტეტის სხვა ინფრასტრუქტურის განთავსებაც იგეგმება.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები კარგად შეესაბამება სტანდარტებს.

ხარვეზები გამოვლინდა შემდეგ პროგრამებსა და კომპონენტებში:

- კომპონენტი 1.2 - ყველა საგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილად შესაბამისობაშია

- კომპონენტი 1.4 - საბაკალავრო პროგრამები "ბიზნესის ადმინისტრირება" და "ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)" - მეტწილად შესაბამისობაშია
- კომპონენტი 1.5 - საბაკალავრო პროგრამები "ბიზნესის ადმინისტრირება", "ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)" და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა - მეტწილად შესაბამისობაშია
- კომპონენტი 2.1 -"ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამა - მეტწილად შესაბამისობაშია
- კომპონენტი 3.2 - "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა, "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამა და "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა - მეტწილად შესაბამისობაშია
- კომპონენტი 4.2 - "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო პროგრამა - არ არის შესაბამისობაში

ყველა სხვა კომპონენტი შეფასდა როგორც " სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

დეტალური მიმოხილვა ყველა პროგრამისთვის კომპონენტისა და სტანდარტის შეფასების შესახებ ხელმისაწვდომია ანგარიშის 74-ე გვერდზე.

კლასტერის რეკომენდაციები

კომპონენტი 1.2

- რეკომენდებული აღიწეროს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგი ქვეკატეგორიების გამოყენებით: "ცოდნა და გაცნობიერება - უნარი - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა"
- რეკომენდებულია გამარტივდეს სწავლის შედეგების ფორმულირება და სტრუქტურა, რათა უზრუნველყოფილ იქნას თითოეული სწავლის შედეგის გაზომვადობა და ყოველი სწავლის შედეგი ფოკუსირებული იყოს ერთ ძირითად საკითხზე.

რეკომენდაციები პროგრამებისთვის:
კომპონენტი 1.4
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

- საგანი "სოციალური კვლევის მეთოდები" რეკომენდებულია გახდეს პროგრამის სავალდებულო კომპონენტი, ან ეს კურსი უნდა მოდიფიცირდეს და სავალდებულო კომპონენტად შემოვიდეს "კვლევის მეთოდები" და/ან "კვლევის მეთოდები ბიზნესში"
- თვითშეფასების დოკუმენტში სავარაუდოდ არის შეცდომა, რადგან რამდენიმე საგანი სილაბუსში მითითებულია როგორც სავალდებულო, ხოლო კურიკულუმში - როგორც არჩევითი
- თვითშეფასების დოკუმენტაციაში კიდევ ერთი ტექნიკური სახის შეცდომაა: "მენეჯმენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების" სილაბუსში არასწორადაა მითითებული შეფასების ფორმებისა და კომპონენტების ჯამური ქულა.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

- თვითშეფასების დოკუმენტში სავარაუდოდ არის შეცდომა, რადგან რამდენიმე საგანი სილაბუსში მითითებულია როგორც სავალდებულო, ხოლო კურიკულუმში - როგორც არჩევითი.
- თვითშეფასების დოკუმენტაციაში არის კიდევ ერთი ტექნიკური სახის შეცდომა: საგნის "შესავალი ლიდერობაში" სილაბუსში არ არის მითითებული ძირითადი

ლიტერატურის დასახელება, მითითებულია მხოლოდ ავტორი, გამოცემის რიგითობა და გამოცემის წელი.

კომპონენტი 1.5.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

- რეკომენდებულია წასაკითხი ლიტერატურის სიები, რომლებშიც ძირითადი ლიტერატურის 5-ზე მეტი ერთეულია მოცემული, გადაიხედოს და ჩასწორდეს ისე, რომ სტუდენტს შეეძლოს სავალდებულო მასალის ეფექტურად ათვისება.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

რეკომენდებულია წასაკითხი ლიტერატურის სიები, რომლებშიც ძირითადი ლიტერატურის 5-ზე მეტი ერთეულია მოცემული, გადაიხედოს და ჩასწორდეს ისე, რომ სტუდენტს შეეძლოს სავალდებულო მასალის ეფექტურად ათვისება.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

- რეკომენდებულია, გადაიხედოს კურიკულუმი ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა: კურსის მიზნები და სწავლის შედეგები; სასწავლო თემატიკა; დავალებების ინტენსივობა, მოცულობა და სირთულე; სასწავლო მასალის მოცულობა და სირთულე; სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდები
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სასწავლო კურსები დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ ძირითად თემატიკასთან შესაბამისობის მიზნით
- რეკომენდებულია კურსი "სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" გაიყოს ორ სავალდებულო კურსად: "მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" და "სტრატეგიული მენეჯმენტი", სადაც "მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" იქნება "სტრატეგიული მენეჯმენტის" წინაპირობა
- რეკომენდებულია "სტრატეგიული მენეჯმენტისა და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციების" კურსიდან ამოღებულ იქნას თამაშთა თეორიასთან დაკავშირებული საკითხები და მის ნაცვლად შეიქმნას არჩევითი კურსი "თამაშთა თეორია მენეჯერებისთვის"
- რეკომენდებულია გადაიხედოს "პროექტის მენეჯმენტის" და "ღირებულებათა ჯაჭვის მენეჯმენტის" კურსების წინაპირობები, სადაც წინაპირობად განისაზღვროს კურსი "მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები".

კომპონენტი 2.1

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა

- რეკომენდებულია საჯაროდ ხელმისაწვდომი დაშვების წინაპირობების მოთხოვნების დახვეწა, იმის განცხადებით, რომ სასურველია ან სავალდებულო ადამიანური რესურსების მართვის სფეროში გადამოწმებადი პრაქტიკული გამოცდილების არსებობა.

კომპონენტი 3.2

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო, ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო და

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამები

- რეკომენდებულია ყველა სამაგისტრო პროგრამაში გაძლიერდეს სტუდენტების მიერ სამეცნიერო კვლევის ინსტრუმენტების გამოყენება და აკადემიური წერის უნარები, აკადემიური სტილი, წყაროების გადამოწმება და ბიბლიოგრაფიის შესრულება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სხვა ინსტიტუციების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გაზიარებითა და ნაშრომების საფუძვლიანი ტექნიკური გადახედვის უზრუნველყოფით

კომპონენტი 4.2
ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა
- რეკომენდებულია შეფასების განსახორციელებლად წარმოდგენილ იქნას სამეცნიერო ხელმძღვანელების სრული სია კატეგორიების მიხედვით (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე, აფილირებული და ა.შ.) და მიეთითოს პროგრამისთვის კონკრეტული ხელმძღვანელების ვინაობა.

- რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის რჩევები:

კომპონენტი 1.2

- სასურველია, რომ სწავლის შედეგები ყოველთვის ფოკუსირებული იყოს სტუდენტის მიღწევებზე და არა თავად სწავლის პროცესზე.

კომპონენტი 4.1

მიუხედავად მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებისა, სასურველია, მოწვეული პერსონალის უმრავლესობა ფლობდეს დოქტორის ხარისხს.

ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო აქტივობების რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, თანაფარდობა აქტივობების სრულ რაოდენობასა და პერსონალის სრულ რაოდენობას შორის აჩვენებს, რომ პერსონალი შეიძლება მეტად იყოს ჩართული სამეცნიერო აქტივობებში (სტატიები, კონფერენციები)

კომპონენტი 4.4

- სასურველია, ბიბლიოთეკამ შექმნას სასწავლო მოდული სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ და აქტიურად წაახალისოს მისი გამოყენება სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის, სწავლა-სწავლების ხარისხის მხარდაჭერის მიზნით

კომპონენტი 5.3

- სასურველია, იმ პროგრამებში, სადაც სტუდენტთა რაოდენობა არ არის მაღალი, დაინერგოს მონაცემთა შეგროვების თვისებრივი მიდგომა, რათა ინფორმაცია შეგროვდეს ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით

რჩევები პროგრამებისთვის:

კომპონენტი 1.5

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა და „ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა

- რამდენიმე საგნის სილაბუსებში მითითებულია, რომ ყოველკვირეული გამოცდა ზეპირი ფორმით ტარდება. სასურველია სტუდენტის შეფასებისას გამოყენებულ იქნას კომბინირებული მიდგომა, რაც გულისხმობს ქვიზის ჩატარებას წერილობითი ფორმით ზეპირ გამოცდასთან ერთად.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა

- სასურველია მაგისტრანტებისთვის ისეთი შესაძლო სამაგისტრო ნაშრომის თემების შეთავაზება, რომლებიც თანამედროვე გლობალური გამოწვევების პირობებში აქტუალურია. თუმცა, ამავე დროს, მაგისტრანტს უნდა მიეცეთ ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობა თემის არჩევისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]ექსპერტთა ჯგუფს სურს ხაზი გაუსვას სტუდენტებისადმი განსაკუთრებულ ინდივიდუალურ მიდგომას, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების კლასტერის ერთ–ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ეს ინდივიდუალური მიდგომა ხორციელდება მიზანმიმართულად მცირერიცხოვანი სტუდენტური ჯგუფების საშუალებით, რაც თითოეულ სტუდენტთან სიღრმისეული ინდივიდუალური ურთიერთობის საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა ხარისხის სტანდარტებით არის გათვალისიწინებული და დღესდღეობით ხარისხიანი განათლების მნიშვნელოვანი ელემენტია, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა "სტუდენტზე ორიენტირებული" მიდგომის კონცეფცია ახალ საფეხურზე აიყვანა, განსაკუთრებით ქართული კონტექსტის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის გრძელვადიანი მდგრადობისთვის ყველაზე მარტივი გამოსავალი და უნივერსიტეტის მხრიდან გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული, უდავოდ მისასალმებელია სტუდენტთა რაოდენობის ნაცვლად ხარისხზე ორიენტირება. თუმცა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ეს განსაკუთრებული მიდგომა მხოლოდ გარკვეულ პირობებში მუშაობს და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მაღალი ჩართულობით, ამიტომ არ უნდა იქნას გამოყენებული როგორც უნივერსალური საუკეთესო პრაქტიკა.

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას, გარდა კომპონენტი 1.5-ისა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამებში, რომლებზეც უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება რეკომენდაციას ორივე პროგრამისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თანახმად, ეს რეკომენდაცია უცვლელი რჩება ორივე პროგრამისთვის (ძირითად ლიტერატურასთან მიმართებით). რაც შეეხება სამეცნიერო სტატიების ძირითად ლიტერატურად გამოყენებას, უნივერსიტეტის პოზიცია მისაღებია და რეკომენდაციიდან შესაბამისი ნაწილი ამოღებულია (ანგარიშის ამ ვერსიაში მოცემულია შეცვლილი რეკომენდაცია).

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია კომპონენტ 1.5-თან დაკავშირებით არის შემდეგი: "თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ კურსი ისეა დაგეგმილი, რომ სტუდენტს შეუძლია გაეცნოს, გააანალიზოს და სიღრმისეულად გაიაზროს თითოეული საგნისთვის მითითებული ძირითადი ლიტერატურა, რაც გართულებულია იმ ფაქტით, რომ ქართულენოვანი პროგრამის რიგ საგნებში მითითებულია 8-დან 13-მდე ძირითადი ლიტერატურა, ხოლო ინგლისურენოვანი პროგრამის რიგ საგნებში - 8-დან 21-მდე ძირითადი

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ლიტერატურა (მაგალითად, აკადემიურ წერაში 21 ძირითადი ლიტერატურა), რომლებსაც თან ერთვის სხვა დამატებითი ლიტერატურაც მოცემული საგნის გარშემო გასაცნობად.

უნივერსიტეტის არგუმენტია, რომ რიგ საგნებში არ არსებობს სრულყოფილი სახელმძღვანელოები, რის გამოც საჭიროა ამ რაოდენობის ძირითადი ლიტერატურის მითითება. თუმცა, ასევე განმარტავს, რომ მიუხედავად ლიტერატურის დიდი ოდენობისა, ეს არ იწვევს სტუდენტების გონებრივ გადატვირთვას. აღსანიშნავია, რომ რიგი საგნების სილაბუსებში არ არის მითითებული ძირითადი ლიტერატურის გვერდების რაოდენობა ყველა თემისთვის, რაც მასალის მოცულობის სრულად იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემდა.

მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე საგანი/თემა, რომლებშიც მითითებულია გვერდები და ისინი აღემატება 100 გვერდს ერთი თემის ფარგლებში. მაგალითად: "ბიზნესის საფუძვლები - მე-3 თემის სასწავლო მასალა აღემატება 120 გვერდს, მე-12 თემის სასწავლო მასალა აღემატება 100 გვერდს; ლიდერობის შესავალი - პირველი თემის სასწავლო მასალა აღემატება 140 გვერდს, მე-2 თემის სასწავლო მასალა აღემატება 100 გვერდს და ა.შ."

„ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო პროგრამაში კომპონენტი 4.2 შეფასებულია, როგორც "არ არის შესაბამისობაში სტანდარტებთან", რადგან თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია პერსონალის შემადგენლობის შესახებ არასაკმარისი იყო პერსონალის ადეკვატურობის შესაფასებლად. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა აკრედიტაციის საბჭოს უნდა წარუდგინოს დამატებითი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ პერსონალი აკმაყოფილებს კომპონენტი 4.2-ის ყველა მოთხოვნას, რათა ეს სტანდარტი შეფასდეს როგორც შესაბამისი და შეიცვალოს მე-4 სტანდარტის საერთო შეფასება.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ექვსი წარდგენილი პროგრამიდან 5 პროგრამას უკვე მიღებული აქვს აკრედიტაცია, მხოლოდ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა არის ახლად შემუშავებული. როგორც 5.3 კომპონენტშია აღწერილი, ყველა პროგრამამ გაიარა გარე შეფასების რომელიმე ფორმა - ან მხოლოდ გარე აკრედიტაცია, ან აკრედიტაცია სხვა კოლეგიალურ შეფასებებთან ერთად - და მიიღო განსახორციელებელი რეკომენდაციები.

გარე რეკომენდაციები ძირითადად უკავშირდებოდა სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის განაწილებასა და გადანაცვლებას, ან ახალი საგნების შემოტანას. სხვა, უფრო ზოგადი ცვლილებები უკავშირდებოდა შეფასების კრიტერიუმების გადახედვას, ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერებას და ა.შ.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ასევე დაექვემდებარა დარგობრივ მახასიათებლებში შესულ ცვლილებებს და შესაბამისად იქნა მოდიფიცირებული.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომის გამოყენებით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

სტანდარტის კომპონენტი:	**შეფასების მიდგომები:**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალ ექვსივე საგანმანათლებლო პროგრამას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც კურსდამთავრებულებს ექნებათ პროგრამის დასრულების შემდეგ. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა ყურადღებით არის შემუშავებული, იმისათვის, რომ ასახოს საზოგადოების მოთხოვნები და ამავე დროს უნივერსიტეტის მისია. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა უნიკალურია ამ უნივერსიტეტის კონტექსტში და ერთად ქმნიან მრავალფეროვან და ამავდროულად ურთიერთშევსებად პროგრამების ერთობლიობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 („ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს კვალიფიციური კადრები მენეჯმენტში. პროგრამის მიზანია მოამზადოს ღრმა ცოდნით აღჭურვილი კურსდამთავრებულები ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში, რომელთაც შეუძლიათ მიღებული ცოდნის საფუძველზე მოერგონ

შრომის ბაზარს და მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილებები ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისას. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჩაატარონ დამოუკიდებელი კვლევები, გაიღრმავონ ცოდნა სხვადასხვა დისციპლინაში და განივითარონ აუცილებელი კვლევითი უნარები. ეს უნარები უზრუნველყოფს მათ მზადყოფნას განათლების შემდეგი საფეხურისთვის. პროგრამის მიზნების მისაღწევად ყურადღება გამახვილებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხზე, რასაც ადასტურებს სხვადასხვა ღონისძიებები - როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში / პროექტებში / კონფერენციებში / გაცვლით პროგრამებში. ეს არის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების განსაზღვრის ხელშემწყობი ფაქტორი.

ეს პროგრამა, რომელიც შესაბამისობაშია ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან, მოიცავს კურსებს, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ უნარებს ეკონომიკის, ბიზნესისა და მეწარმეობის, ფინანსებისა და რისკების მართვის, მარკეტინგის, ადამიანური რესურსების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სხვა დისციპლინების მიმართულებით. ეს საგნები უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულებს გააჩნდეთ როგორც დარგობრივი, ისე ზოგადი კომპეტენციები საბაკალავრო დონეზე. შესაბამისად, პროგრამის მიზნები არის კონკრეტული და მიღწევადი, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან.

2023-2024 წელს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, რის საფუძველზეც უნივერსიტეტმა განახორციელა რიგი ცვლილებები: პროგრამას სავალდებულო კურსების სახით დაემატა აკადემიური წერა, საინფორმაციო ტექნოლოგიები მენეჯმენტში, მეწარმეობა და ბიზნეს მოდელები, საერთაშორისო ეკონომიკა. ხოლო არჩევითი კურსების სახით დაემატა პერსონალური ბრენდინგი, გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მენეჯმენტი, ციფრული კომუნიკაციის სტრატეგია. ასევე დაემატა საგნები ინგლისურ ენაზე (მაგალითად: კორპორაციული კომუნიკაცია). საერთაშორისო ბაზართან მიმართებით, მისი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტთა მობილობა Erasmus+-ის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნის პარტნიორ უნივერსიტეტებში და სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო აქტივობებში (ლექციები, სემინარები, კონფერენციები, პროექტები).

შესაბამისად, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და შესაბამისად, პროგრამა მოდიფიცირდა შრომის ბაზრის უახლესი ანალიზისა და დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრისთვის. მისი მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებსაც შეუძლიათ მიღებული ცოდნის საფუძველზე მოერგონ მულტიკულტურულ გარემოს, გააჩნიათ სწორი კომუნიკაციის უნარი, და შეუძლიათ რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება და ბიზნეს პროცესების მართვა. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჩაატარონ დამოუკიდებელი კვლევები, გაიღრმავონ ცოდნა სხვადასხვა დისციპლინაში და განივითარონ აუცილებელი კვლევითი უნარები. ეს უნარები უზრუნველყოფს მათ მზადყოფნას განათლების შემდეგი საფეხურისთვის. პროგრამის მიზნების მისაღწევად ყურადღება გამახვილებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხზე, რასაც ადასტურებს სხვადასხვა ღონისძიებები - როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში / პროექტებში / კონფერენციებში / გაცვლით პროგრამებში. ეს არის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების განსაზღვრის ხელშემწყობი ფაქტორი.

ეს პროგრამა, რომელიც შესაბამისობაშია ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან, მოიცავს კურსებს, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებას ეკონომიკის, ბიზნესისა და მეწარმეობის, ფინანსებისა და რისკების მართვის, მარკეტინგის, ადამიანური რესურსების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სხვა დისციპლინების მიმართულებით. ეს საგნები უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულებს გააჩნდეთ როგორც დარგობრივი, ისე ზოგადი კომპეტენციები საბაკალავრო დონეზე. შესაბამისად, პროგრამის მიზნები კონკრეტული და მიღწევადია, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ("საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას. პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული ფართო თეორიული ცოდნა საჯარო მმართველობის საფუძვლების, მოდელების, სისტემების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, საჯარო მმართველობის ღირებულებებისა და ეთიკური სტანდარტების, ძირითადი ტენდენციებისა და გამოწვევების, აგრეთვე საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრის, საჯარო მმართველობის ინსტიტუციური, სამართლებრივი, პოლიტიკური და

ეკონომიკური საფუძვლების, ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმების, შედეგზე ორიენტირებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციისთვის საჭირო ინოვაციური მექანიზმებისა და ინსტრუმენტების, მათ შორის, ელექტრონული მმართველობის, შესახებ.

თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთქმედებაზე ორიენტაციით საბაკალავრო პროგრამა „საჯარო მმართველობა" უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულები აანალიზებენ საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ პრობლემებს და ეძებენ მათი გადაჭრის ტრადიციულ და ინოვაციურ გზებს, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროგრამა ავითარებს მსჯელობის, დასკვნების ჩამოყალიბებისა და გაზიარების უნარს, საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებისას კონსტიტუციური წესრიგის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული და კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპების, ეთიკური და პროფესიული ნორმების პატივისცემისა და დაცვის უნარს. პროგრამის მიზნები შეესაბამება დარგისა და საზოგადოების საჭიროებებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 („ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, მიზნად ისახავს თანამედროვე თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მქონე, კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძენილი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით, განვითარებული ინოვაციური ხედვებით შეძლებს ბიზნესში რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, პროგრესული მოდელების და ინოვაციების დანერგვას და ინკლუზიური კეთილდღეობის ზრდაში მონაწილეობას.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კვალიფიციური სპეციალისტი, აღჭურვილი ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნით, რომელიც: კრიტიკულად იაზრებს ბიზნესის მართვის თეორიულ მიდგომებს და მმართველობითი საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებს; იძიებს და განავითარებს ახალ, ორიგინალურ იდეებს მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად; აანალიზებს ცვალებად ბიზნეს გარემოს, მათ შორის კომპლექსურ ან არასრულ ინფორმაციას; აანალიზებს ბიზნესის შიდა და გარე ფაქტორებს, ავლენს განვითარების შესაძლებლობებს და იღებს გადაწყვეტილებას კომპლექსური პრობლემების გადაჭრისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით; იყენებს კვლევის მრავალფეროვან ინსტრუმენტებს ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური

სინთეზისთვის; რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებას ეფექტიანი ბიზნესის წარმართვისთვის; ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და არგუმენტებს და დასკვნებს წარადგენს როგორც აკადემიური, ასევე, პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; აფასებს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნესეთიკის ნორმების დაცვის მნიშვნელობას ბიზნესის წარმატებისა და საზოგადოების განვითარებისთვის; ბიზნესის მართვის პროფესიულ ცოდნასა და პრაქტიკას ავითარებს საკუთრი წვლილით; კომპლექსურ, არაპროგნოზირებად, მულტიდისციპლინურ სასწავლო და სამუშაო გარემოს მართვასა და ადაპტირებას ახორციელებს ინოვაციური სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით; დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლას და როგორც პირად საქმიანობაზე ისე პროფესიულ განვითარებაზე იღებს პასუხისმგებლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 („ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)'

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის კურიკულუმზე მუშაობისას სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა გაითვალისწინა საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმები.

სამაგისტრო პროგრამა "ადამიანური რესურსების მართვა" მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს საკადრო მენეჯმენტის პრიორიტეტები, დამოუკიდებლად დაგეგმოს და კონკრეტულ ორგანიზაციულ ქცევაზე დაკვირვებით წარმართოს პრაქტიკული კვლევა ადამიანური რესურსების მართვის სფეროში, ფოკუსირებული იქნება ორგანიზაციული კულტურის ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც ხელს უწყობს დაწესებულების უწყვეტ განვითარებასა და წარმატებას.

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ სათანადოდ აღიქვან კერძო და საჯარო სექტორში მიმდინარე ცვლილებები, სწრაფად მოერგონ შეცვლილ გარემოებებს და შესაბამისად აიმაღლონ კვალიფიკაცია, პრაქტიკულად განახორციელონ პროფესიული პოტენციალი და შესაძლებლობები კულტურულ და სოციალურ სფეროში, აიღონ პასუხისმგებლობა სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე სტრატეგიული მიდგომებისა და სამუშაო გარემოს ეფექტური მართვის გამოყენებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 („საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში პროგრამის კურიკულუმზე მუშაობისას სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა გაითვალისწინა საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმები. ეს ასევე უზრუნველყოფს პროგრამისა და პერსონალის ინტერნაციონალიზაციას დაწესებულების მიერ შექმნილი ძლიერი პარტნიორული ქსელის მეშვეობით.

სამაგისტრო პროგრამის "საჯარო მმართველობა" მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და იურიდიული ფაკულტეტის მიერ დაგეგმილ ამოცანებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამის საინფორმაციო ფაილში.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება დარგისა და საზოგადოების განვითარების ტენდენციებს და მიზნად ისახავს შესძინოს სტუდენტს მულტიდისციპლინური, ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო მმართველობის, საქართველოს სახელმწიფო მოწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის, ასევე ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების შესახებ. პროგრამის კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები და ჩატარდა კონსულტაციები დამსაქმებლებთან. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ძირითადად ფოკუსირებულია ქართულ კონტექსტზე, იგი ითვალისწინებს საერთაშორისო ტენდენციებს და ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა დარგის სტუდენტს, მათ შორის საჯარო მმართველობის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმი;
- კვლევა - შრომის ბაზარი საქართველოში ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტებისთვის;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, კანცლერთან და ვიცე-რექტორთან
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

- ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.sabauni.edu.ge.

რეკომენდაციები - რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ ეხება **კლასტერის საერთო რჩევები:** არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება[6]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება")	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)")	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (საბაკალავრო	X	☐	☐	☐

[6] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

პროგრამა "საჯარო მმართველობა")				
პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება")	**X**	☐	☐	☐
პროგრამა 5 (სამაგისტრო პროგრამა "ადამიანური რესურსების მართვა")	**X**	☐	☐	☐
პროგრამა 6 (სამაგისტრო პროგრამა "საჯარო მმართველობა")	**X**	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება თითოეულ პროგრამას და მათი ჩამოყალიბებისას დაცულია კონსტრუქციული თანხვედრის პრინციპი. ამას ადასტურებს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები და ასევე სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკები, რომლებიც შემუშავებულია ყველა პროგრამისთვის.

თუმცა ექსპერტთა ჯგუფს სურს წარმოადგინოს მოსაზრებები პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისთვის, რაც სასარგებლო იქნება ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

ყველა პროგრამაში პროგრამის სწავლის შედეგების დაყოფა სამ კატეგორიად "ცოდნა და გაცნობიერება – უნარი – პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა" (როგორც ეს უკვე დანერგილია ბიზნესის ადმინისტრირებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამებში) ხელს შეუწყობს კურსის შინაარსსა და პროგრამის შედეგებს შორის უკეთეს თანხვედრას და გაამარტივებს თითოეულ სექციაში არსებული ხარვეზების

გამოვლენას. ეს გაზრდის მოქნილობას სწავლის შედეგების განახლების თვალსაზრისით. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს და კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს სწავლა გააგრძელონ განათლების შემდეგ საფეხურზე.
მუდმივი კონსულტაციები იმართება დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის სწორად განხორციელებისა და სწავლის შედეგების შემდგომი განვითარების მიზნით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს შეუძლია დაასკვნას, რომ სწავლის შედეგები მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს.
თუმცა, ზოგიერთი სწავლის შედეგი ზედმეტად ვრცელი და კომპლექსურია, მოიცავს რამდენიმე ისეთ კომპონენტს, რომლებსაც ხშირად მცირე კავშირი აქვთ ერთმანეთთან (რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა დოკუმენტების ინგლისურ თარგმანში). ადმინისტრირებისა და შინაარსის შემუშავების გათვალისწინებით, რეკომენდებულია შემცირდეს თითოეული სწავლის შედეგში შემავალი კომპონენტების რაოდენობა– და მასში შევიდეს მხოლოდ ყოვლისმომცველი ელემენტები. ამასთან, მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების საერთო რაოდენობა დარჩეს რაციონალურ ფარგლებში (სამივე ქვე-განყოფილების გათვალისწინებით, პროგრამის დონეზე არ უნდა აღემატებოდეს 10 შედეგს). ეს ასევე გაუმჯობესებს სწავლის შედეგების გაზომვადობას. კიდევ ერთი მცირე შენიშვნა, რომელიც გასათვალისწინებელია, არის ის, რომ სწავლის შედეგები ყოველთვის უნდა ასახავდეს სტუდენტის მიღწევას და არა თავად სწავლის პროცესს, როგორც ეს შეინიშნება, მაგალითად, ფორმულირებაში "მოიძიებს ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე" (საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა).
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, დაინტერესებული მხარეები კმაყოფილები არიან კურსდამთავრებულთა დონით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 („ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება როგორც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ბაკალავრიატის დონის აღმწერს, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივ მახასიათებლებს. სწავლის შედეგებია:

- განმარტავს ეკონომიკის პრინციპების ფუძემდებლურ თეორიებსა და პრინციპებს; აღწერს ბიზნესორგანიზაციების მართვის საკითხებს, კერძოდ: ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების -ზოგადი, სტრატეგიული, ოპერაციული და ინოვაციური მენეჯმენტის, პროექტების და ადამიანური რესურსის მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსური აღრიცხვის, მართვის ძირითადი პრინციპებსა და მეთოდებს; ლოკალურ და გლობალურ ბიზნეს გარემოში კომპანიის ფუნქციონირებისა და სტრატეგიის ლავირების საკითხებს;

- აანალიზებს ბიზნესპროცესებს; სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობისას მოიძიებს და ამუშავებს შესაბამის სტატისტიკურ და ფინანსურ ინფორმაციას; მონაწილეობს ინდივიდუალური და ჯგუფური კვლევითი სამუშაოებისა და პრაქტიკული ხასიათის ბიზნეს პროექტების განხორციელების პროცესში;
- აღწერს ბიზნესის გარე და შიდა გარემოს, ახდენს კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის ანალიზს, ასაბუთებს და აყალიბებს დასკვნებს და სამეწარმეო იდეებს, სთავაზობს რეკომენდაციებს SWOT ანალიზის, სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის და სხვა სტანდარტული და/ან ინოვაციური მეთოდებით. ამის საფუძველზე ზეპირ და წერილობით ანგარიშს წარადგენს აკადემიურ და პროფესიულ წრეებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე ეფექტური კომუნიკაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
- თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ახდენს შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას; შეუძლია ცოდნის ამაღლება დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, კვლევის მეთოდების ამოცნობა და საბაკალავრო პროექტზე მუშაობა.
- აანალიზებს ბიზნესის სოციალურ პასუხისგებლობას, შეუძლია ორგანიზაციული, ეთიკური, სოციალური ნორმების ფორმირების პროცესში მონაწილოება.

პროგრამის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისთვის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას და განვითარებას, როგორიცაა: ეკონომიკური თეორიებისა და პრინციპების ახსნა; ბიზნესის მართვის პრინციპების, მასთან დაკავშირებული პროცესებისა და რისკების აღწერა; სხვადასხვა დისციპლინის ურთიერთმიმართების ანალიზი და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება; ბიზნეს გარემოს შეფასების უნარი; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა; კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების უნარი.

ამ უნარებით კურსდამთავრებულებს შეუძლიათ როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ანგარიშების მომზადება. პროგრამის შედეგებიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე. უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ატარებს ბაზრის კვლევას, იმისათვის რომ განსაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან. წელიწადში ერთხელ, ასევე ტარდება სტუდენტების გამოკითხვაც სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, რომლის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, ხდება პროგრამაში ცვლილებების შეტანა. სასწავლო პროცესში სტუდენტების შედეგების აღრიცხვისთვის გამოიყენება სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა.

პროგრამა ავითარებს როგორც დარგობრივ, ასევე ზოგად კომპეტენციებს, რომლებიც სხვადასხვა კურსის მეშვეობით ვითარდება. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, პროგრამაში თითოეული მიზანი შეესაბამება პროგრამის სწავლის

შედეგებს, და თავის მხრივ, პროგრამის სწავლის თითოეულ შედეგს დადგენილი აქვს სამიზნე ნიშნულები. კომპეტენციები (ცოდნა და გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) განსაზღვრულია პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსების სწავლის შედეგების რუკის მიხედვით.

თუმცა, როგორც ეს სტანდარტის ზოგად ნაწილშია განმარტებული, ამ პროგრამის სწავლის შედეგები არ განასხვავებს ცოდნასა და გაცნობიერებას – უნარებს – პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. მოცემული ხუთი სწავლის შედეგი საკმაოდ კომპლექსურია და სასურველი იქნებოდა მათი გადახედვა ერთ სწავლის შედეგში ჩამოთვლილი ელემენტების რაოდენობის გადახედვის მიზნით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის "ბიზნესის ადმინისტრირება" სწავლის შედეგები შეესაბამება როგორც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ბაკალავრიატის დონის აღმწერს, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივ მახასიათებლებს. სწავლის შედეგებია:

- ბიზნესის მდგრადი განვითარების ჭრილში დეტალურად აღწერს: (ა) ბიზნესის მაკრო-მიკრო გარემოს; (ბ) ბიზნეს პროცესებს; და (გ) ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციურ სფეროებში მიმდინარე ტენდენციებს. იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებს. ახდენს ბიზნესთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას და სახავს რისკების მართვის სტრატეგიებს;
- შეიმუშავებს და განახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელ კვლევით/პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს და წარადგენს შესაბამისი ფორმებით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- აანალიზებს ორგანიზაციის საქმიანობას, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებს/რეკომენდაციებს;
- იყენებს ბიზნესის ადმინისტრირების მეთოდებს, ეკონომიკის კანონებსა და მენეჯმენტის პრინციპებს ორგანიზაციული პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად და ტიპიურ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად;
- ახორციელებს ფინანსურ აღრიცხვას საერთაშორისო საფინანსო სტანდარტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შესაბამისად ამზადებს ანგარიშებს, ადგენს ფინანსური ანგარიშგების ფორმებს (ბალანსი, მოგება-ზარალი, კაპიტალის ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება) და ადარებს ბიუჯეტის გეგმებს რეალურ ფინანსურ მონაცემებთან. აღრიცხავს ინვენტარს და ანაწილებს რესურსებს მიზანმიმართულად და

ეფექტიანად. აანალიზებს ფინანსურ მონაცემებსა და ქმნის ფინანსურ მოდელებს. იყენებს IT ტექნოლოგიებს ფინანსების მართვაში;

- ორგანიზაციის გარე და შიდა ფაქტორების ანალიზის საფუძველზე აყალიბებს სტრატეგიას, ტაქტიკას, სამოქმედო გეგმას და ასევე განსაზღვრავს ორგანიზაციისთვის სტრატეგიულ პოზიციას, რასაც ეფექტიანად იყენებს ადამიანური რესურსების, საწარმოო პროცესების, პროექტებისა და ორგანიზაციათა სტრატეგიული მართვისთვის, როგორც კორპორაციის, ისე ბიზნესის, ფუნქციონალურ და ოპერატიულ დონეზე;
- ორგანიზაციის მასშტაბით ქმნის მომხმარებელზე ორიენტირებულ ინფრასტრუქტურას კლიენტებთან ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად. გავლენას ახდენს სტრატეგიის ფორმულირებაზე და კორპორატიულ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. გეგმავს/განსაზღვრავს და ხელმძღვანელობს ბრენდის სტრატეგიის შემუშავების პროცესს და ხელს უწყობს ბრენდის სწორ პოზიციონირებას. ახორციელებს კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან. ადგენს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის გეგმებს როგორც ფიზიკური, ისე ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით. ფლობს შესაბამის IT და პროგრამულ უნარებს მედიასთან და მათ შორის სოციალურ მედიასთან საჭირო კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად. მონაწილეობს (ხელმძღვანელობს) ორგანიზაციის ფართო თანამშრომლობის პროცესს მომხმარებელთა ღირებულების შესამუშავებლად. ადგენს მარკეტინგული გეგმის ეფექტიანობის შესაბამის მაჩვენებლებს. მართავს (ეხმარება მართვაში) ადამიანებს, პროცესებს და ბრენდებს კორპორატიული რეპუტაციის შესანარჩუნებლად;
- პატივს სცემს და მონაწილეობს თავისუფლების, დემოკრატიის, ანგარიშვალდებულების, სოლიდარობისა და ეკონომიკური თავისუფლების ღირებულებების გავრცელებაში.

პროგრამის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისთვის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარების ფორმირებასა და განვითარებას არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო კონკურენტული ბაზრისთვის. ესენია: ეკონომიკური თეორიებისა და პრინციპების გააზრება; ბიზნესის მართვის პრინციპების, მასთან დაკავშირებული პროცესებისა და რისკების ანალიზი; ბიზნეს პროექტების შედგენისა და საერთაშორისო ბაზარზე გატანის უნარი; სხვადასხვა დისციპლინის ურთიერთმიმართების ანალიზი და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება; ბიზნეს გარემოს შეფასების უნარი; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა; მოვლენების პროგნოზირება სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით; კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების უნარი.

ამ უნარებით კურსდამთავრებულებს შეუძლიათ როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ანგარიშების მომზადება. პროგრამის შედეგებიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ატარებს ბაზრის კვლევას, რათა დადგინდეს პროგრამის შედეგების შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან. წელიწადში ერთხელ, ასევე ტარდება სტუდენტების

გამოკითხვაც სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, რომლის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, ხდება პროგრამაში ცვლილებების შეტანა. სასწავლო პროცესში სტუდენტთა შედეგების აღრიცხვისთვის გამოიყენება სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა.

პროგრამა ავითარებს როგორც დარგობრივ, ასევე ზოგად კომპეტენციებს, რომლებიც სხვადასხვა კურსის მეშვეობით ვითარდება. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით - პროგრამაში თითოეული მიზანი შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, და თავის მხრივ, პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს დადგენილი აქვს სამიზნე ნიშნულები. კომპეტენციები (ცოდნა და გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) განსაზღვრულია პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკის მიხედვით.

თუმცა, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისთვის რამდენიმე სწავლის შედეგი, კერძოდ №7, ფორმულირებულია კომპლექსურად, რამდენიმე კომპონენტის გაერთიანებით ერთი ზოგადი კომპონენტის ნაცვლად. ასევე, შედეგები ფოკუსირებულია ქმედებებზე ("ასრულებს", "ქმნის") ნაცვლად მიღწევებისა "შეუძლია გააანალიზოს, განსაზღვროს, განავითაროს".

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ("საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს,
ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგებია:

- განიხილავს საჯარო მმართველობის საფუძვლებს, ძირითად მოდელებს, სისტემებს და ინსტიტუტებს, ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმებს, საჯარო მმართველობის ძირითად ტენდენციებს და თანამედროვე გამოწვევებს, აგრეთვე მათი გადაწყვეტის საჭირო მექანიზმებს;
- აცნობიერებს საჯარო მმართველობის ფასეულობებს, ღირებულებებს და ეთიკურ სტანდარტებს, საჯარო მმართველობის საზოგადოებრივ, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძვლებსა და ძირითად პრინციპებს;
- განმარტავს საჯარო ადმინისტრირების პროცესებს, ადმინისტრაციული წარმოების ძირითად ფორმებსა და ეტაპებს, ადამიანური რესურსებისა და საჯარო ფინანსების მართვის საფუძვლებს.

- ახდენს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას და კვლევის სათანადო მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს;
- ადგენს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დოკუმენტებს, შეიმუშავებს არგუმენტირებულ დასკვნებს და წარმოაჩენს შესაბამისი ფორმით, მათ შორის, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებების გამოყენებით;
- მოიძიებს ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე და ატარებს მცირე მოცულობის კვლევას ხელმძღვანელის მითითებით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით;
- იცავს კონსტიტუციური წესრიგის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული და კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებს, ეთიკურ და პროფესიულ ნორმებს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ინდივიდუალურად ან გუნდურად მიღებისას;
- ორიენტირებულია საჯარო მმართველობის სფეროში სიახლეების მიდევნებასა და ცოდნის მუდმივად განახლებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგებით გათვალისწინებული აქტივობები ნათელია, ზოგიერთი შედეგი ფოკუსირებულია ქმედებებზე ("ასრულებს", "ქმნის") ნაცვლად მიღწევებისა "შეუძლია გააანალიზოს, განსაზღვროს, განავითაროს".

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 („ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს,
ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგებია:

- ცოდნა და გაცნობიერება
○ ავლენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემურ თეორიულ ცოდნას, რომელიც მოიცავს მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციებს და სტრატეგიული მენეჯმენტს, მენეჯერულ ეკონომიკას, ბიზნესის სტატისტიკას, მეწარმეობასა და ინოვაციების მენეჯმენტს, ბიზნესგარემოს და ბაზრებს, სტრატეგიულ მარკეტინგმენეჯმენტს, სტრატეგიულ კომუნიკაციებს, ღირებულებების ჯაჭვის მართვას, ორგანიზაციულ ცვლილებებს,

ადამიანური რესურსების მართვას, პროექტმენეჯმენტს, მმართველობით აღრიცხვას, ფინანსურ მენეჯმენტს, ბიზნესის ეთიკას და სხვა მიმართულებებს.

○ ბიზნესის ეფექტიანი ადმინისტრირებისათვის აცნობიერებს მმართველობითი საქმიანობის სფეროს უახლესი მიღწევების კრიტიკულად გააზრების და ინოვაციური, ორიგინალური იდეების განვითარების საჭიროებას;

○ აცნობიერებს პასუხისმგებლობის აღების საჭიროებას და ვალდებულებას ბიზნესის ადმინისტრირების პროცესში.

- უნარი:

○ თავისუფლად ორიენტირდება სწარაფად ცვალებად ბიზნეს გარემოში, მათ შორის რთული ან არასრული ინფორმაციის პირობებში;

○ ბიზნესის ადმინისტრირების რთული პრობლემების გადასაწყვეტად იძიებს და იყენებს ახალ, ორიგინალური იდეებს; ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე აფასებს კონკრეტულ ბიზნეს სიტუაციას და იღებს ადეკვატურ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას;

○ დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ახორციელებს კვლევას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში;

○ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არგუმენტირებულად მსჯელობს და წარადგენს კვლევის შედეგებს და დასკვნებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;

○ აფასებს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს ეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობას ბიზნესის წარმატებისა და საზოგადოების განვითარებისთვის.

- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

○ აქტიურად შეაქვს წვლილი ბიზნესის ადმინისტრირების პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში შეძენილი ცოდნის ინოვაციური სინთეზით და პრაქტიკული ქმედებით;

○ ბიზნესის ადმინისტრირების თეორიულ ცოდნას იყენებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი, მულტიდისციპლინური სასწავლო და სამუშაო გარემოს ეფექტურად მართვისთვის და ინოვაციური სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით ახორციელებს ადაპტირებას;

○ ავლენს უნარს ავტონომიურად წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის და ამასთან, აიღოს პასუხისმგებლობა სხვების პროფესიულ განვითარებაზე და მათ საქმიანობაზე.

ამ საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მაგალითს - ისინი შედარებით მოკლე და ლაკონურია და ეფექტურად გადმოსცემს მოსალოდნელ ძირითად შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 („ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)'

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს,
ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგებია:

- ცოდნა და გაცნობიერება
  - ფლობს პრობლემაზე დაფუძნებულ ცოდნას საკადრო პოლიტიკის დაგეგმვის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, შენარჩუნებისა და მოტივირების, შრომის ანაზღაურებისა და კომპენსაციების განსაზღვრის, შრომის სამართლისა და შრომის უსაფრთხო პირობების ორგანიზების, დასაქმებისა და შრომის ბაზრის პოლიტიკის, შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და პროფესიული განვითარების, მომავლის პროფესიების განსაზღვრის მექანიზმების, დასაქმების ბრენდინგის, თანამედროვე შრომის ბაზარზე Gen-Z თაობის ქცევის პროგნოზირებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში ტალანტების მართვის სისტემის მიმართულებით; აცნობიერებს კონფლიქტის მართვისა და მედიაციის თავისებურებებს, სოციალურ პასუხისმგებლობას, ლიდერობის თეორიების და მენტორული ურთიერთობების თავისებურებებს; აცნობიერებს კონფლიქტების მართვისა და მედიაციის, სოციალური პასუხისმგებლობის, ლიდერობის თეორიების და მენტორული ურთიერთობების თავისებურებებს, როგორც ორგანიზაციის სტრატეგიულ ინტერესებთან პიროვნული სტიმულის თავსებადობის, ასევე ორგანიზაციის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის რეალიზაციის პროცესში.
- უნარი:
  - ნდობაზე დამყარებული ურთიერთობებისა და ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრების მიზნით, ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე კონცეფციების, ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე აფასებს კონკრეტულ ორგანიზაციულ სიტუაციას, ახდენს არსებული პრობლემების და რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას, ეძებს მათი დაძლევის ინოვაციურ გზებს, ძირეულ ფასეულობებთან ბუნებრივად თავსებად საკადრო პოლიტიკას და იღებს შესაბამის სტრატეგიულ გადაწყვეტილებს;
  - ორგანიზაციის და თანამშრომელთა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე აყალიბებს ორგანიზაციულ კულტურასა და პერსონალის რეკრუტინგის თანამედროვე სისტემას, ქმნის სტრატეგიას თანამშრომელთა შენარჩუნებისა და პროფესიული ზრდის, ასევე, ტალანტების მოზიდვისა და იდენტიფიცირების მიზნით, აფასებს დანახარჯისა და სარგებლის გათვალისწინებით სამუშაოს შესრულების ეფექტიანობას; მუშაობს გუნდურობის პრინციპით,

რაციონალურად ანაწილებს დროსა და დავალებებს ჯგუფში, აფასებს გუნდური მუშაობის წვლილსა და წახალისების სისტემას ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისათვის;

○ კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს შრომით ურთიერთობებში არსებული საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პერსპექტივას და მიზანშეწონილობას, ადგენს შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ დოკუმენტებსა და სამუშაოს აღწერილობებს;

○ გეგმავს და დამოუკიდებლად ატარებს პრაქტიკულ კვლევებს ადამიანური რესურსების მართვის სფეროში უახლესი მეთოდებისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით; მსჯელობს ადამიანური რესურსების მართვის აქტუალურ პრობლემებზე, აყალიბებს კვლევის შედეგებსა და დასკვნებს, რომელთაც წარუდგენს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვითა და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

○ ადამიანური რესურსების მენეჯმენტში მიღებული კომპეტენციების გათვალისწინებით და ინოვაციური სტრატეგიული მიდგომების პრაქტიკაში დანერგვით განახორციელებს კომპლექსურ, მულტიდისციპლინურ, ცვალებად ორგანიზაციულ გარემოსთან ადაპტირებას; ასევე, უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი და თანამშრომლების შესაძლებლობების შეფასებასა და განვითარების პროცესს, კეთილსინდისიერების, ეთიკურობისა და კოლეგიალობის პრინციპების დაცვით;

○ კარიერული მართვის სისტემების შემუშავებისა და განხორციელების გზით, პასუხისმგებლობას იღებს გუნდის წევრების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე; ითვალისწინებს სოციალურ პასუხისმგებლობას ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების დაგეგმვისა და რეალიზაციის პროცესში.

სწავლის შედეგები მთლიანობაში კარგად არის სტრუქტურირებული. თუმცა, სწავლის შედეგების უმეტესობა შედგება რამდენიმე ცალკეული შედეგისგან და ჩამოთვლილია ისეთი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც არ არის წარმოდგენილი სწავლის შედეგის სახით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 („საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს,

ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგებია:

- სისტემურად აღწერს საჯარო მმართველობის პრინციპებს, კონცეფციებსა და ფუნქციებს, საჯარო მმართველობის საკონსტიტუციო რეგულირებასა და მისი განხორციელების სამართლებრივ ინსტრუმენტებს, საჯარო მმართველობის სფეროში გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცესს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, პრინციპებს და საჯარო ორგანოს საქმიანობის ძირითად ფორმებს, საჯარო ფინანსების მართვის მექანიზმებს, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის თანამედროვე მოდელებს, კრიტიკულად იაზრებს საჯარო მმართველობისა და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში არსებულ კომპლექსურ პრობლემებს;
- ფლობს სისტემურ ცოდნას საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ძირითადი ასპექტების, საქართველოს სახელმწიფო ორგანოების საკონსტიტუციო სტატუსისა და უფლება-მოვალეობების, ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურის, ფუნქციებისა და მისი ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობის, საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ძირითადი ასპექტებისა და აქტუალური პრობლემების შესახებ.
- კომპლექსურად აფასებს საჯარო მმართველობის პრობლემურ საკითხებს და განსაზღვრავს მათი გადაწყვეტის ოპტიმალურ გზებს, გამოავლენს საჯარო სამსახურში არაეთიკურ ქმედებებსა და ახდენს მათი ჩამდენი პირების იდენტიფიცირებას და იცავს საჯარო სამსახურის ინტერესებს ეთიკური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. დამოუკიდებლად აფასებს რისკ-ფაქტორებს და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით ახდენს მათ შეფასებას, ანალიზს და აყალიბებს რეაგირების მექანიზმებს. კრიტიკულად აანალიზებს საჯარო ფინანსების სისტემის თავისებურებებს და ეძებს ბიუჯეტების რეალიზების ეფექტურ საშუალებებს;
- აანალიზებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის პროცესსა და მის თანმდევ შედეგებს, სწორად განსაზღვრავს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის დანიშნულებას უკეთესი საჯარო მმართველობის სისტემის უზრუნველსაყოფად;
- ადგენს სხვადასხვა ადმინისტრაციულ აქტს, შეიმუშავებს სტრატეგიული მართვისა და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებს, გეგმავს და მონაწილეობას იღებს საჯარო მმართველობის სფეროში კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად კანონმდებლობით განსაზღვრულ წარმოებაში, განსაზღვრავს საზოგადოებასთან ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაციის ინსტრუმენტებს, ასევე, აკადემიური წერის ტექნიკის საშუალებით საჯარო მმართველობის სფეროში დამოუკიდებლად გეგმავს და ასრულებს კვლევას;
- იყენებს მიღებულ ცოდნას ყოველდღიურ პროცესებში და დამოუკიდებლად იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს საჯარო სამსახურში, საჯარო სამსახურის ღირებულებების, პრინციპებისა და ეთიკის ზოგადი წესების დაცვით;
- საკუთარი პროფესიული ცოდნის გამოყენებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დემოკრატიული სახელმწიფოს „კარგი მმართველობის“ სისტემის ჩამოყალიბებასა და მის

სამომავლო განვითარებაში, კონსტიტუციური წესრიგისა და ადამიანის ძირითადი უფლებების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია საკმაოდ კომპლექსურად, სადაც თითოეული სწავლის შედეგი შედგება რამდენიმე ცალკეული შედეგისგან. ასევე, ზოგჯერ უპირატესობა ენიჭება აქტივობის/პროცესის აღწერას ("ადგენს", "შეიმუშავებს") და არა შედეგს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა;
- კვლევა - შრომის ბაზარი საქართველოში ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტებისთვის;
- გასაუბრებები პროგრამების ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტის დეკანთან, კანცლერთან და ვიცე-რექტორთან;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.sabauni.edu.ge.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებული აღიწეროს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდეგი ქვეკატეგორიების გამოყენებით: "ცოდნა და გაცნობიერება - უნარი - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა" .

- რეკომენდებულია გამარტივდეს სწავლის შედეგების ფორმულირება და სტრუქტურა, რათა უზრუნველყოფილ იქნას თითოეული სწავლის შედეგის გაზომვადობა და ყოველი სწავლის შედეგი ფოკუსირებული იყოს ერთ ძირითად საკითხზე.
- **კლასტერის საერთო რჩევები:**

- სასურველია, რომ სწავლის შედეგები ყოველთვის ფოკუსირებული იყოს სტუდენტის მიღწევებზე და არა თავად სწავლის პროცესზე.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება")	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)")	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (საბაკალავრო პროგრამა "საჯარო მმართველობა")	☐	X	☐	☐
პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება")	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 (სამაგისტრო პროგრამა "ადამიანური რესურსების მართვა")	☐	X	☐	☐
პროგრამა 6 (სამაგისტრო პროგრამა "საჯარო მმართველობა")	☐	X	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასებისთვის იყენებს ორმაგი შეფასების მექანიზმს, რომელიც ეფუძნება მიღწეული მიზნების ანალიზსა და სტუდენტთა ნიშნების ანალიზს.

თითოეული პროგრამისთვის შემუშავებულია „პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა“, რომელიც გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების მთელი პროცესის განმავლობაში. თითოეულ აკადემიურ კურსს აქვს კონკრეტული სამიზნე ნიშნულები, რომლებიც ფასდება ECTS რეიტინგული ქულებით. პროცედურების თვალსაზრისით, სავალდებულო საგნებში სამიზნე ნიშნულები თავდაპირველად მოწმდება ECTS ქულებით, რომლის მიხედვითაც სტუდენტთა 10%-მა უნდა მიიღოს A შეფასება, 25%-მა - B შეფასება, 30%-მა - C შეფასება, 25%-მა - D შეფასება და 10%-მა - E შეფასება.

სწავლის შედეგები ფასდება ყოველი წლის ბოლოს, რაც გულისხმობს შედეგების გაანალიზებას და წინა წლის მიღწევებთან შედარებას. სწავლის შედეგების მიღწევის ანგარიში შესამოწმებლად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები მომდევნო სასწავლო წლისთვის. ეს ანგარიში გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ შეფასების პროცესის შემდგომი დახვეწისთვის და სამიზნე ნიშნულების შესრულების პროგრესის მონიტორინგისთვის.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებისას აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი გადის გაცნობით ტრენინგს. მოგვიანებით ტარდება ყოველწლიური ტრენინგი. ამ ტრენინგის პროცესში ისინი ასევე ეცნობიან უნივერსიტეტში მუშაობის მეთოდებს და სწავლის შედეგების განსაზღვრისა და შეფასების წესებს. გამოცდილი კოლეგების, პროგრამის ხელმძღვანელებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება მხარდაჭერა მენტორობის საშუალებით.

სწავლის შედეგების შეფასება ასევე მოწმდება პირდაპირი მეთოდით - სტუდენტთა აკადემიური ნიშნების ანალიზის საფუძველზე ECTS სარეიტინგო ქულების მიხედვით. ECTS რანჟირების სკალა გვიჩვენებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სამიზნე ნიშნულებს, რომლის მიხედვითაც, გამოცდაჩაბარებული ჯგუფისთვის დადგენილია შემდეგნაირად: სტუდენტების 10% უნდა იღებდეს A შეფასებას, 25% - B-ს, 30% - C-ს, 25% - D-ს და დარჩენილი 10% - E-ს. აკადემიური საგნის ფარგლებში მიღებული საბოლოო შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების მიღწევის დონის პროცენტულ მაჩვენებელს. პროგრამის სწავლის შედეგების პროცენტული მაჩვენებლები ჯამდება კომპეტენციების რუკის მიხედვით.

ქულების ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზის შემთხვევაში, გამოიყენება რეაგირების სხვადასხვა მექანიზმები:

ა) სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების მოდიფიცირება;

ან/და

ბ) შესაბამისი აკადემიური კურსების სწავლა-სწავლების მეთოდების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მათი მოდიფიცირება.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ასევე იყენებს სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირ მეთოდს, რომელიც გულისხმობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას და კვლევის შედეგების ანალიზს. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, წინასწარ სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. გამოკითხვებს ატარებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველ სემესტრში და ყოველწლიურად. ეს გამოკითხვა ანონიმურია და ეხება პროგრამის სტრუქტურასა და მის კომპონენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების შეფასების პროცესის გაუმჯობესებისთვის.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით არ ეხება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება")	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)")	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (საბაკალავრო პროგრამა "საჯარო მმართველობა")	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება")	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 (სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐

"ადამიანური რესურსების მართვა")				
პროგრამა 6 (სამაგისტრო პროგრამა "საჯარო მმართველობა")	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი სრულად შეესაბამება როგორც დადგენილ სტანდარტებს, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების განათლების სფეროში არსებულ თანამედროვე მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია და ორი რჩევა საბაკალავრო პროგრამისთვის „ბიზნესის ადმინისტრირება" და საბაკალავრო პროგრამისთვის „ბიზნესის ადმინისტრირება" (ინგლისურენოვანი).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება")

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირება" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიისა და დამტკიცების პროცედურის შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის დასასრულებლად აუცილებელია 240 (ECTS) კრედიტის დაგროვება. პროგრამა შეიცავს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებს. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვაში შედის როგორც საკონტაქტო საათები, ასევე დამოუკიდებელ სამუშაო საათები. პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და

საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას/დაცვას. საბაკალავრო ნაშრომისთვის გათვალისწინებულია 10 (ECTS) კრედიტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს, ხელმძღვანელის დახმარებით, შესაძლებლობა ეძლევა წარმოაჩინოს სწავლის პერიოდში შეძენილი ცოდნა და უნარები. პრაქტიკული კომპონენტისთვის გამოყოფილია 8 (ECTS) კრედიტი, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს განივითაროს ის უნარები, რომლებიც დაეხმარება სამუშაო გარემოსთან ადვილად ადაპტირებაში. ამასან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა მემორანდუმები, რომლის საფუძველზეც სტუდენტს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის გავლა სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში.

საბაკალავრო პროგრამა განახლებულია აკრედიტაციის რეკომენდაციებისა და მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად. თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა უკუკავშირი აისახა პროგრამის განახლებაში. ასევე ჩატარდა დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვები შესაძლო ხარვეზების გამოვლენისა და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. საბოლოოდ, პროგრამა განახლდა უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული "საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და მისი დამტკიცების წესი"–ს შესაბამისად. დაემატა საგნები (მაგალითად, საერთაშორისო ეკონომიკა) და რიგი საგნებისთვის შეიცვალა სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი) (მაგალითად, მეწარმეობა და ბიზნეს მოდელები). ასევე, საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხები, კერძოდ, შეტანილია საგანი ინგლისური კომპონენტით (კორპორაციული კომუნიკაცია), ტურიზმისა და ბიზნესისთვის ინგლისურ ენას, და ასევე აღსანიშნავია, რომ ინგლისურ ენას უცხოელი ლექტორები ასწავლიან.

გასათვალისწინებელია, რომ საგანი "სოციალური კვლევის მეთოდები" ამჟამად პროგრამაში შეტანილია როგორც ფაკულტეტის არჩევითი კურსი. თუმცა სილაბუსში მითითებულია, რომ ის სავალდებულოა. ექსპერტთა აზრით, რეკომენდებულია საგანი "სოციალური კვლევის მეთოდები" გახდეს პროგრამის სავალდებულო კომპონენტი, ან ეს კურსი უნდა მოდიფიცირდეს და სავალდებულო კომპონენტად შემოვიდეს "კვლევის მეთოდები" და/ან "კვლევის მეთოდები ბიზნესში". აღნიშნული საგნის შესწავლა შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს განახორციელოს კვლევა სხვადასხვა მიმართულებით, რაც ასევე დაეხმარება მას საბაკალავრო ნაშრომის მომზადებაში.

თვითშეფასების დოკუმენტაციაში სავარაუდოდ არის შეცდომა, რადგან რამდენიმე საგანი სილაბუსში მითითებულია როგორც სავალდებულო, ხოლო კურიკულუმში - როგორც არჩევითი.

თვითშეფასების დოკუმენტაციაში არის კიდევ ერთი ტექნიკური შეცდომა: "მენეჯმენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების" სილაბუსში არასწორადაა მითითებული შეფასების ფორმებისა და კომპონენტების ჯამური ქულა.

საბაკალავრო პროგრამა იწყება სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლით, რომლებიც წარმოადგენს სხვა სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობას. აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო პროგრამის დასაწყისში გათვალისწინებულია ისეთი საგნები, როგორიცაა კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და დისკუსიის ტექნიკა, ასევე აკადემიური წერის სავალდებულო კურსების შესწავლა, რაც ხელს უწყობს საბოლოო საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას. პროგრამის კომპონენტები ორგანიზებულია სემესტრების შესაბამისად თანმიმდევრული, ლოგიკური წინაპირობით, ხოლო მომდევნო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა აგებულია ცოდნის გადაცემის შემდეგი პრინციპით - ზოგადიდან კონკრეტულისკენ, მარტივიდან რთულისკენ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი)"საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის დასასრულებლად საჭიროა 240 (ECTS) კრედიტის დაგროვება. პროგრამა შედგება სამი მოდულისგან - ზოგადი, ბიზნესის ადმინისტრირებისა და კონცენტრაციის მოდულებისგან (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი). პროგრამა შეიცავს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებს. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვაში შედის როგორც საკონტაქტო საათები, ასევე დამოუკიდებელ სამუშაო საათები. პროგრამა ითვალისწინებს: სასწავლო კურსებს, პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას/დაცვას. საბაკალავრო ნაშრომისთვის გათვალისწინებულია 14 (ECTS) კრედიტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს, ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ, ეძლევა შესაძლებლობა გამოავლინოს სწავლის პერიოდში შეძენილი ცოდნა და უნარები. პრაქტიკული კომპონენტისთვის გათვალისწინებულია 5 (ECTS) კრედიტი, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს განივითაროს ის უნარები, რომლებიც დაეხმარება სამუშაო გარემოსთან მარტივად ადაპტირებაში. ამასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა მემორანდუმები, რომლის საფუძველზეც სტუდენტს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის გავლა სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში.

„ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გათვალისწინებული იქნა შემდეგი ფაქტორები: განხორციელდა პროგრამის მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი (ბენჩმარკინგი) ევროპული პარტნიორი

უნივერსიტეტების ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან, ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა თანამედროვე გამოწვევების გამოვლენის მიზნით. მოდიფიცირების პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა მიერ შემოთავაზებული ცვლილებები გათვალისწინებული იქნა პროგრამის განახლებისას. საბოლოოდ, პროგრამა განახლდა უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული "საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და მისი დამტკიცების წესი"–ს შესაბამისად. პროგრამაში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხები, მაგალითად, რამდენიმე საგანს უცხოელი ლექტორები ასწავლიან. პროგრამის შემადგენელი კომპონენტები ორგანიზებულია სემესტრების შესაბამისად თანმიმდევრული, ლოგიკური წინაპირობით, ხოლო მომდევნო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია.

თვითშეფასების დოკუმენტაციაში სავარაუდოდ არის შეცდომა, რადგან რამდენიმე საგანი სილაბუსში მითითებულია როგორც სავალდებულო, ხოლო კურიკულუმში - როგორც არჩევითი

თვითშეფასების დოკუმენტაციაში არის კიდევ ერთი ტექნიკური შეცდომა: საგნის "შესავალი ლიდერობაში" სილაბუსში არ არის მითითებული ძირითადი ლიტერატურის დასახელება, მითითებულია მხოლოდ ავტორი, ორდერი პუბლიკაციაზე, წელი.

პროგრამის სტრუქტურა ეფუძნება ცოდნის გადაცემის შემდეგ პრინციპს - ზოგადიდან კონკრეტულისკენ, მარტივიდან რთულისკენ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ("საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საბაკალავრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ შედგება 240 ECTS კრედიტისგან. მათ შორის: უნივერსიტეტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 36 ECTS, ინგლისური ენის კომპონენტი - 24 ECTS, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 144 ECTS, რომელიც მოიცავს საჯარო მმართველობის პრაქტიკულ კლინიკას (12 ECTS) და საბაკალავრო ნაშრომს (12 ECTS), ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 36 ECTS, საიდანაც 18 ECTS სავალდებულოა პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი კურსებიდან. დარჩენილი 18 ECTS-ის დასაგროვებლად სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგნები როგორც საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამიდან, ასევე უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან. კურიკულუმის შინაარსი და ECTS კრედიტების განაწილება სხვადასხვა კომპონენტს შორის შესაბამისობაშია "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიასთან", არის თანმიმდევრული, ლოგიკური და შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შინაარსობრივ მოთხოვნებს. პროგრამის კურიკულუმზე მუშაობისას შესწავლილი და გათვალისწინებული

იქნა საუკეთესო ქართული და საერთაშორისო პროგრამები. ჯგუფი, რომელიც მუშაობდა პროგრამის შემუშავებაზე, მჭიდროდ თანამშრომლობდა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა მოესმინათ მათი მოსაზრებები სასწავლო კურსების შინაარსის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

მოცემული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, პროგრამის სტრუქტურა დაიგეგმა იმგვარად, რომ იგი უზრუნველყოფს ჩარიცხული სტუდენტების აღჭურვას საჯარო მოხელისთვის საჭირო კომპლექსური ცოდნითა და აუცილებელი უნარებით. პროგრამის სტრუქტურა დაბალანსებულია და მოიცავს ზოგად აკადემიურ კურსებს პოლიტიკის, სამართლის, ეკონომიკის, ფინანსებისა და მენეჯმენტის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს როგორც დარგთან შესაბამისობას, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ს„ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„ბიზნესის ადმინისტრირება" სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 ECTS კრედიტისგან, რომელიც გადანაწილებულია შემდეგ კომპონენტებზე - სასწავლო კომპონენტი (90 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი (30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა). 90 კრედიტი გადანაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 78 კრედიტი და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 12 კრედიტი. სავალდებულო სასწავლო კურსები იძლევა ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი კომპეტენციების სიღრმისეულად დაუფლების შესაძლებლობას. არჩევითი სასწავლო კურსები შეთავაზებულია მეორე და მესამე სემესტრებში და შესაძლებელია გასათვალისწინებელი იქნეს წინაპირობები. არჩევითი კურსების განხორციელებას განსაზღვრავს უნივერსიტეტი. არჩევითი კურსები მრავალმხრივია და მაგისტრანტს, ინტერესების გათვალისწინებით, შეუძლია შეიძინოს/გაიღრმავოს სპეციფიკური ცოდნა და განივითაროს უნარები გლობალური და სამეწარმეო ხედვის, ინოვაციური მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, სტრატეგიის, ანალიზის, ადამიანური რესურსების მართვის, მდგრადი განვითარებისა და ცირკულარული ეკონომიკის, საჯარო-კერძო პარტნიორობისა და სხვა მიმართულებებით.

ერთი მხრივ, პროგრამა ორიენტირებულია როგორც თეორიული ცოდნის სიღრმისეულ შესწავლაზე, ასევე კვლევითი უნარების განვითარებაზე. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს სიღრმისეულად გაიაზრონ მიღებული ცოდნა, გამოიყენონ იგი პრაქტიკაში და მოიძიონ და დაამუშაონ სამეცნიერო ლიტერატურა. პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავებისას განხორციელდა შესაბამისი პროგრამების ანალიზი და გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამა შეესაბამება სწავლის სფეროს მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ადამიანური რესურსების მართვა“)'

სამაგისტრო პროგრამა „ადამიანური რესურსების მართვა" მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია შემდეგ კომპონენტებზე - სასწავლო კომპონენტი 90 კრედიტი (სავალდებულო სასწავლო კურსები - 63 ECTS, არჩევითი სასწავლო კურსები - 27 ECTS, მათ შორის პრაქტიკული კომპონენტი „პრაქტიკული კლინიკა" - 6 ECTS). სამაგისტრო ნაშრომისთვის გამოყოფილია 30 ECTS კრედიტი. სამაგისტრო პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას შემდეგი პრინციპით - ზოგადიდან კონკრეტულისკენ, მარტივიდან რთულისკენ. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

ერთი მხრივ, პროგრამა ორიენტირებულია როგორც თეორიული ცოდნის და ადამიანური რესურსების მართვის სრული ციკლის სიღრმისეულ შესწავლაზე, ასევე კვლევითი უნარების განვითარებაზე. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს სიღრმისეულად გაიაზრონ მიღებული ცოდნა, გამოიყენონ იგი პრაქტიკაში და მოიძიონ და დაამუშაონ სამეცნიერო ლიტერატურა. პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავებისას განხორციელდა შესაბამისი პროგრამების ანალიზი და გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნები. პროგრამა შეესაბამება სწავლის სფეროს მოთხოვნებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და კარგად ორგანიზებულია. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები და შინაარსი (მათ შორის თითოეული სასწავლო კურსი) ლოგიკურად არის დაგეგმილი. პროგრამა ითვალისწინებს ახალ კვლევით მიგნებებსა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 („საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა" მოიცავს 120 ECTS კრედიტს. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები შეადგენს 102 ECTS-ს (72 კრედიტი ეთმობა სავალდებულო სასწავლო კურსებს, 10 კრედიტი – პრაქტიკულ კლინიკას, ხოლო 20 კრედიტი ეთმობა კვლევით პროექტს). დარჩენილი 18 ECTS-ის ფარგლებში, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსი სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობის" ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსებიდან და უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამიდან.

პროგრამის კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა სხვადასხვა ასპექტი, კერძოდ, შრომის ბაზრის მოთხოვნები, ბაზარზე არსებული მსგავსი პროგრამების შეფასება და

დამსაქმებლებთან კონსულტაციები. პროგრამის შინაარსი და/ან სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას, განსაკუთრებით პრაქტიკული კომპონენტების თვალსაზრისით. ძლიერი ინტერნაციონალიზაციის ხედვის საშუალებით, პროგრამა ითვალისწინებს ახალ კვლევით მიგნებებსა და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.

პროგრამის კურიკულუმი უზრუნველყოფს სათანადო ბალანსს აკადემიური დისციპლინის შესაბამის თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის. კომპეტენციები გადანაწილებულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად. პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურისთვის, რომელიც კვალიფიკაციათა ჩარჩოთი არის განსაზღვრული.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს უახლეს კვლევით მიგნებებს; ინტერნაციონალიზაცია გათვალისწინებულია საუკეთესო პრაქტიკის სახით, თუმცა, საჯარო მმართველობის ორივე საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება ეროვნულ კონტექსტს, შესაბამისად, პრიორიტეტი ენიჭება ეროვნულ პერსპექტივასა და საჭიროებებს.

პროგრამის განვითარების პროცესი განხორციელდა ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვ.) ჩართულობით, თანამშრომლობითი პროცესის მეშვეობით, და მათი კონკრეტული ხედვები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალურობას.

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ სწორი ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურა;
- მემორანდუმები;
- პროგრამის სილაბუსები;
- კვლევა - შრომის ბაზარი საქართველოში ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტებისთვის;
- გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტის დეკანთან, კანცლერთან და ვიცე-რექტორთან;

- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.sabauni.edu.ge
- გამოკითხვის შედეგები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

რეკომენდაციები:

პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება")

- საგანი "სოციალური კვლევის მეთოდები" რეკომენდებულია გახდეს პროგრამის სავალდებულო კომპონენტი, ან ეს კურსი უნდა მოდიფიცირდეს და სავალდებულო კომპონენტად შემოვიდეს "კვლევის მეთოდები" და/ან "კვლევის მეთოდები ბიზნესში"

- თვითშეფასების დოკუმენტში სავარაუდოდ არის შეცდომა, რადგან რამდენიმე საგანი სილაბუსში მითითებულია როგორც სავალდებულო, ხოლო კურიკულუმში - როგორც არჩევითი.
- თვითშეფასების დოკუმენტაციაში კიდევ ერთი ტექნიკური სახის შეცდომაა: "მენეჯმენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების" სილაბუსში არასწორადაა მითითებული შეფასების ფორმებისა და კომპონენტების ჯამური ქულა.

პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)")

- თვითშეფასების დოკუმენტაციაში სავარაოდოდ არის შეცდომა, რადგან რამდენიმე საგანი სილაბუსში მითითებულია როგორც სავალდებულო, ხოლო კურიკულუმში - როგორც არჩევითი.
- თვითშეფასების დოკუმენტაციაში არის კიდევ ერთი ტექნიკური სახის შეცდომა: საგნის "შესავალი ლიდერობაში" სილაბუსში არ არის მითითებული ძირითადი ლიტერატურის დასახელება, მითითებულია მხოლოდ ავტორი, გამოცემის რიგითობა და გამოცემის წელი.

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშიი მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება")	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 (საბაკალავრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)")	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 (საბაკალავრო პროგრამა "საჯარო მმართველობა")	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 (სამაგისტრო პროგრამა "ბიზნესის ადმინისტრირება")	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 (სამაგისტრო პროგრამა "ადამიანური რესურსების მართვა")	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 (სამაგისტრო პროგრამა "საჯარო მმართველობა")	X	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური კურსების/საგნების სილაბუსები მთლიანობაში შესაბამისია და თავსებადია თითოეულ პროგრამასთან. ექსპერტთა ჯგუფმა გააკეთა რამდენიმე კომენტარი, რომლებიც ეხება ბიზნესის ადმინისტრირების სამივე პროგრამის როგორც შინაარსობრივ, ისე ტექნიკურ ასპექტებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა)

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის თითოეულ სავალდებულო და არჩევით კურსს აქვს კარგად სტრუქტურირებული სილაბუსი, რომელიც შეიცავს ყველა საჭირო დეტალს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტებისთვის, კერძოდ, კურსის წინაპირობებს, მოკლე აღწერას, მიზნებსა და შედეგებს. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსების სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, თითოეულ კურსში მითითებულია კომპეტენციები, რაც გულისხმობს ცოდნას და გაცნობიერებას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიას. სილაბუსებში ასევე მოცემულია სტუდენტის დატვირთვის ანალიზი საკონტაქტო საათებში, შეფასების სქემა, სწავლების მეთოდები, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, კვირების მიხედვით ლექციის გეგმა (თემა, საკითხავი მასალა), ტესტები და კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა. ყველა სილაბუსი შედგენილია ერთიან ფორმატში, რაც სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას ამარტივებს. განსხვავება მხოლოდ სწავლის შედეგების აღწერაშია, რაც ნაწილობრივ განპირობებულია საგნების განსხვავებულობით. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების განვითარებასა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე. ასევე, კურსების შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამის დონეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ კურსები ისე არის დაგეგმილი, რომ სტუდენტს შეეძლოს კურსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის გაცნობა, ანალიზი და

საფუძვლიანი გაგება, რაც რთულდება იმით, რომ რამდენიმე საგანში მითითებულია ძირითადი ლიტერატურის 8-დან 13-მდე წყარო. რომელსაც თან ახლავს დამატებითი ლიტერატურა შესაბამისი საგნის მიხედვით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, შერჩევით შემოწმდა სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა და ყველა საჭირო სასწავლო მასალა წარმოდგენილი იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის თითოეულ სავალდებულო და არჩევით კურსს აქვს კარგად სტრუქტურირებული სილაბუსი, რომელიც შეიცავს ყველა საჭირო დეტალს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტებისთვის, კერძოდ, კურსის წინაპირობებს, მოკლე აღწერას, მიზნებსა და შედეგებს. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსების სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, თითოეულ კურსში მითითებულია კომპეტენციები, რაც გულისხმობს ცოდნას და გაცნობიერებას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიას. სილაბუსებში ასევე მოცემულია სტუდენტის დატვირთვის ანალიზი საკონტაქტო საათებში, შეფასების სქემა, სწავლების მეთოდები, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, კვირების მიხედვით ლექციის გეგმა (თემა, საკითხავი მასალა), ტესტები და კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა. ყველა სილაბუსი შედგენილია ერთიან ფორმატში, რაც სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას ამარტივებს. განსხვავება მხოლოდ სწავლის შედეგების აღწერაშია, რაც ნაწილობრივ განპირობებულია საგნების განსხვავებულობით. ზოგადად, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის კურსები ორიენტირებულია არამხოლოდ დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე, არამედ ასევე გლობალური ბაზრისათვის საჭირო ღირებულებებისა და უნარების გამომუშვებასა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე. ასევე, კურსების შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამის დონეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ კურსები ისე არის დაგეგმილი, რომ სტუდენტს შეეძლოს კურსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის გაცნობა, ანალიზი და საფუძვლიანი გაგება, რაც რთულდება იმით, რომ რამდენიმე საგანში მითითებულია ძირითადი ლიტერატურის 8-დან 21-მდე წყარო (მაგალითად. აკადემიური წერა). რომელსაც თან ახლავს დამატებითი ლიტერატურა შესაბამისი საგნის მიხედვით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, შერჩევით შემოწმდა სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა და ყველა საჭირო სასწავლო მასალა წარმოდგენილი იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის.

აღწერა და ანალიზი პროგრამა 3 ("საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამა)

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც განსაზღვრულია სასწავლო გეგმით. კურსების სწავლის შედეგები ასევე თავსებადია აკადემიური სფეროს შესაბამის მოთხოვნებთან. თითოეული სასწავლო კურსის შედეგები გამომდინარეობს კურსის მიზნებიდან და შინაარსიდან. გარდა ამისა, ისინი შეესაბამება განათლების შესაბამის საფეხურსა და დარგობრივ მახასიათებლებს.
სავალდებულო კურსებს მინიჭებული აქვთ კონკრეტული სწავლის შედეგები, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში და ასევე აღნიშნულია სწავლის შედეგების რუკაში. სწავლის შედეგები განაწილებულია გაცნობით, გამაღრმავებელ, პრაქტიკულ და განმამტკიცებელ კურსებზე.
თითოეული კურსის შინაარსი და შესაბამისი შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ლოგიკურია. კურსების სილაბუსები დაფუძნებულია თანამედროვე ლიტერატურაზე, რომელიც შესაბამისობაშია დარგობრივ მოთხოვნებთან და სწავლის შედეგებთან. სავალდებულო ლიტერატურა და სწავლებისა და სწავლის სხვა რესურსები, რომლებიც მოცემულია სილაბუსებში, შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ითვალისწინებს შესაბამის სფეროში უახლეს კვლევებს, რითაც ასახავს აკადემიური კურსის/საგნის სპეციფიკას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურია და შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს. პროგრამისთვის განსაზღვრული სავალდებულო კურსები უზრუნველყოფს განმავითარებელი, პრაქტიკული და განმამტკიცებელი კომპონენტების სათანადო ბალანსს. კურსების სწავლის შედეგები გამომდინარეობს აკადემიური კურსის მიზნებიდან და შინაარსიდან და შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. აკადემიური კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა თანამედროვეა და შეესაბამება დარგისა და სწავლების დონის მოთხოვნებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია გარკვეული რეკომენდაციების გათვალისწინება, რაც გაზრდის პროგრამის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას.

პროგრამაში ამჟამად ჩართული კურსები უნდა გადაიხედოს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა კურსის მიზნები და მისაღწევი სწავლის შედეგები, დასაფარი საკითხები, შესასრულებელი დავალებებისა და სწავლების პროცესში გამოყენებული

რესურსების ინტენსივობა, მოცულობა და სირთულე; მიღწევების შეფასების სპეციფიკა. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის, კურსდამთავრებულთა კომპეტენციების განვითარებისა და მაგისტრანტების თეორიული და აკადემიური უნარების განვითარებისთვის რეკომენდებულია პროგრამის სასწავლო კურსების გადახედვა დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ ძირითად საკითხებთან შესაბამისობის კუთხით.

იმისათვის, რომ კურსდამთავრებულთა მიერ ინდივიდუალური დისციპლინების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების იდენტიფიცირება მოხდეს, რეკომენდებულია „სტრატეგიული მენეჯმენტისა და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციების“ კურსის სწავლების მიდგომის გადახედვა. აღნიშნული კურსის ნაცვლად სასურველია ორი სავალდებულო კურსის ჩართვა – „მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები“ და „სტრატეგიული მენეჯმენტი“. გარდა ამისა, კურსი „მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები“ უნდა გახდეს „სტრატეგიული მენეჯმენტის“ კურსის წინაპირობა. მსგავსი ცვლილების შედეგად, სტუდენტები შეძლებენ საფუძვლიანად შეისწავლონ მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები, მენეჯმენტის მეცნიერების თანამედროვე თეორიები და მეთოდები, ასევე სტრატეგიული მენეჯმენტი – ორგანიზაციის სტრატეგიის ჩამოყალიბების, განხორციელებისა და შეფასების თანამედროვე პრინციპები და ტენდენციები. აღნიშნულ კურსში ასევე რეკომენდებულია თამაშების თეორიასთან დაკავშირებული თემების ამოღება (სილაბუსში წარმოდგენილია პირველ და მეორე თემად). აღნიშნული თემების შესწავლა მაგისტრანტებისთვის უნდა გახდეს შესაძლებელი არჩევით კურსში – „თამაშების თეორია მენეჯერებისთვის“.

ასევე, საჭიროა პროგრამის კურსებისთვის დაშვების წინაპირობების გადახედვა. კერძოდ, მაგისტრანტებს შეუძლიათ „სტრატეგიული მარკეტინგის მენეჯმენტის“ კურსის შესწავლა წინაპირობების გარეშე, თუმცა კურსებისთვის „პროექტების მენეჯმენტი“ და „ღირებულების ჯაჭვის მენეჯმენტი“ წინაპირობად უნდა განისაზღვროს კურსი „მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები“.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (“ადამიანური რესურსების მართვის” სამაგისტრო პროგრამა)

ადამიანური რესურსების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურია და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამისთვის განსაზღვრული სავალდებულო კურსები უზრუნველყოფს გამაღრმავებელი, პრაქტიკული და განმამტკიცებელი კომპონენტების სწორ ბალანსს. კურსების სწავლის შედეგები გამომდინარეობს აკადემიური კურსის მიზნებიდან და შინაარსიდან და შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსი განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა თანამედროვეა და შეესაბამება დარგისა და სწავლების დონის მოთხოვნებს. სავალდებულო ლიტერატურა და სწავლებისა და სწავლის სხვა რესურსები, რომლებიც მოცემულია სილაბუსებში, შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ითვალისწინებს შესაბამის სფეროში უახლეს კვლევებს, რითაც ასახავს აკადემიური კურსის/საგნის სპეციფიკას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 ("საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს და დარგის მოთხოვნებს. თითოეული კურსის სწავლის შედეგები წარმოადგენს საჯარო მმართველობის სისტემაში შესვლისთვის საჭირო კომპონენტს და შეესაბამება განათლების საფეხურს, აღწერს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოთიგგათვალისწინებულ და დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის კარგ ბალანსს. აკადემიური კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების ყველა მეთოდი, შეფასების სისტემა და საკონტაქტო საათების რაოდენობა მორგებულია კურსის სპეციფიკასა და სირთულეზე.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა თანამედროვეა და შესასწავლი სფეროსათვის რელევანტურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსების სწავლის შედეგების რუკები.
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია წასაკითხი ლიტერატურის სიები, რომლებშიც ძირითადი ლიტერატურის 5-ზე მეტი ერთეულია მოცემული, გადაიხედოს და ჩასწორდეს ისე, რომ სტუდენტს შეეძლოს სავალდებულო მასალის ეფექტურად ათვისება.

რჩევები:

რამდენიმე საგნის სილაბუსებში მითითებულია, რომ ყოველკვირეული გამოცდა ზეპირი ფორმით ტარდება. სასურველია სტუდენტის შეფასებისას გამოყენებულ იქნას კომბინირებული მიდგომა, რაც გულისხმობს ქვიზის ჩატარებას წერილობითი ფორმით ზეპირ გამოცდასთან ერთად.

პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია წასაკითხი ლიტერატურის სიები, რომლებშიც ძირითადი ლიტერატურის 5-ზე მეტი ერთეულია მოცემული, გადაიხედოს და ჩასწორდეს ისე, რომ სტუდენტს შეეძლოს სავალდებულო მასალის ეფექტურად ათვისება.

რჩევები:

რამდენიმე საგნის სილაბუსებში მითითებულია, რომ ყოველკვირეული გამოცდა ზეპირი ფორმით ტარდება. სასურველია სტუდენტის შეფასებისას გამოყენებულ იქნას კომბინირებული მიდგომა, რაც გულისხმობს ქვიზის ჩატარებას წერილობითი ფორმით ზეპირ გამოცდასთან ერთად.

პროგრამა 3 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს კურიკულუმი ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა: კურსის მიზნები და სწავლის შედეგები; სასწავლო თემატიკა; დავალებების ინტენსივობა, მოცულობა და სირთულე; სასწავლო მასალის მოცულობა და სირთულე; სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდები.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სასწავლო კურსები დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ ძირითად თემატიკასთან შესაბამისობის მიზნით .
- რეკომენდებულია კურსი "სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" გაიყოს ორ სავალდებულო კურსად: "მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" და "სტრატეგიული მენეჯმენტი", სადაც "მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" იქნება "სტრატეგიული მენეჯმენტის" წინაპირობა.

- რეკომენდებულია "სტრატეგიული მენეჯმენტისა და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციების" კურსიდან ამოღებულ იქნას თამაშთა თეორიასთან დაკავშირებული საკითხები და მის ნაცვლად შეიქმნას არჩევითი კურსი "თამაშთა თეორია მენეჯერებისთვის."

- რეკომენდებულია გადაიხედოს "პროექტის მენეჯმენტის" და "ღირებულებათა ჯაჭვის მენეჯმენტის" კურსების წინაპირობები, სადაც წინაპირობად განისაზღვროს კურსი "მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები".

რჩევები:

- სასურველია მაგისტრანტებისთვის ისეთი შესაძლო სამაგისტრო ნაშრომის თემების შეთავაზება, რომლებიც თანამედროვე გლობალური გამოწვევების პირობებში აქტუალურია. თუმცა, ამავე დროს, მაგისტრანტს უნდა მიეცეთ ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობა თემის არჩევისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმების პროცესში.

პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: არ ეხება

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები,	შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშ	ნაწილობრივ შესაბამისობაშ	არ არის შესაბამისობაშ

სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	მოთხოვნებთან	ია მოთხოვნებთან	ია მოთხოვნებთან	ი მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 3 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა	X	X	☐	☐
პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	X	X	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც

უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ერთიან მიდგომას ეფუძნება და განსაზღვრულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით. ყველა პროგრამისთვის დაშვების წინაპირობები მკაფიო და დასაბუთებულია, გარდა სამაგისტრო პროგრამისა „ადამიანური რესურსების მართვა," რომლისთვისაც სასარგებლო იქნება სამიზნე ჯგუფის დაზუსტება. ჩარიცხვის მსურველებსა და ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა და ის ფაქტი, რომ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა პროგრამაზე ყველა არსებულ ადგილს არ ავსებს, მიუთითებს, რომ სულხან- საბა ორბელიანის უნივერსიტეტი იყენებს კონსტრუქციულ და კრიტიკულ მიდგომას მიღების პროცესში და რომ აბიტურიენტთა ხარისხს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე შევსებული ადგილების რაოდენობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციის საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რეიტინგული დოკუმენტი) საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესით, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის საფუძველზე ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან ტრანსფერის საშუალებით მიღება უცხო ქვეყანაში აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რეიტინგული დოკუმენტი) საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესით, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, უცხო ენის კომპონენტში, აბიტურიენტებისთვის მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება არის განსაზღვრული, როგორც სავალდებულო (მინიმალური ქულა უნდა აღემატებოდეს 60%-ს).

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ასევე იღებს აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, თუ ისინი აკმაყოფილებენ წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ინგლისურენოვან პროგრამაში ჩარიცხვის მსურველმა კანდიდატებმა უნდა გაიარონ ენის ტესტირება (ინგლისური ენის B2 დონე) მინიმუმ 61%-იანი ქულით. ალტერნატიულად, კანდიდატებს შეუძლიათ წარმოადგინონ საერთაშორისო აღიარებული სერთიფიკატები, რომლებიც ადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნას მინიმუმ B2 დონეზე (მაგ., FCE, IELTS, TOEFL). აბიტურიენტებმა, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სურთ პროგრამაზე ჩარიცხვა, კანონმდებლობის შესაბამისად უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ამ საბაკალავრო პროგრამაში ჩარიცხვა მობილობის წესით შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

აღწერა და ანალიზი პროგრამა 3 (საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა)

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები რელევანტურია, გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. პროგრამაზე ჩასარიცხად, კანდიდატმა უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები ანდა უნდა დააკმაყოფილოს კანონით გათვალისწინებული ალტერნატიული პროცედურები.

პროგრამაში ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის გზით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, განათლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან; პროგრამაში ჩარიცხვის წინაპირობები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების შესაბამისად არის შემუშავებული.
 უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შიდა გამოცდისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება წარმოადგენს სამაგისტრო საფეხურზე ჩარიცხვის საფუძველს. შიდა გამოცდის ჩატარებისა და მისი შედეგების გასაჩივრების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. შიდა გამოცდის საკითხები / ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები გამოცდის დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა კანდიდატებმა უნდა გაიარონ ინგლისური ენის შიდა გამოცდა უნივერსიტეტში, რათა დაადასტურონ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი, გათავისუფლებულია ინგლისური ენის შიდა გამოცდისგან, თუ წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს: FCE, IELTS, TOEFL, PBT, TOEFL, CBT, TOEFL, IBT, VERSANT, CERTUS, PEARSON -შესაბამისი შეფასებებით. სერტიფიკატები ვალიდური უნდა იყოს განაცხადის გაკეთების დროს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა)

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის შიდა გამოცდის შედეგების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. უნივერსიტეტის შიდა გამოცდები ამოწმებს აპლიკანტების ცოდნას არჩეული სპეციალობის მიმართულებით და ასევე ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციას. გათვალისწინებულია რამდენიმე გამონაკლისი ინგლისური ენის გამოცდისგან – კანდიდატებისთვის, რომლებიც ფლობენ

ინგლისური ენის B2 დონის სერტიფიკატს, ასევე იმ კანდიდატებისთვის, რომლებმაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა მინიმუმ ერთი სემესტრის განმავლობაში გაიარეს ინგლისურ ენაზე , ან ჩააბარეს ინგლისური ენის ტესტი, რომელიც ადასტურებს B2 დონეს, ან აქვთ სხვა სერტიფიკატები, რომლებიც ადასტურებენ B2 დონის ცოდნას, მაგალითად: FCE, IELTS, TOEFL, PBT, TOEFL, CBT, IBT, VERSANT, CERTUS, PEARSON.

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩარიცხვის მოთხოვნები ფართო და ზოგადი ჩანს, პროგრამაზე მიღებული ყველა სტუდენტი გარკვეულ პრაქტიკულ გამოცდილებას ფლობს ადამიანური რესურსების მართვის სფეროში. ეს უდავოდ უპირატესობაა პროგრამისთვის, თუმცა ფორმალური ჩარიცხვის მოთხოვნები წინასწარ გამოცდილებას არ ითხოვს და პროგრამა ფორმალურად ღიაა ნებისმიერი აპლიკანტისთვის. შემფასებელთა ჯგუფის თვალსაზრისით, ჩარიცხვის საჯაროდ გამოცხადებულ მოთხოვნებში უნდა განისაზღვროს, რომ ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკული გამოცდილება აუცილებელია ან სასურველი პროგრამაზე ჩარიცხვისთვის, რათა პოტენციურ აპლიკანტებში თავიდან იყოს აცილებული არარეალური მოლოდინების შექმნა

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა)

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამას გააჩნია შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი ჩარიცხვის წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას პროგრამაში, სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტები პროგრამაზე მიიღებიან საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის შიდა შესარჩევი გამოცდების შედეგების საფუძველზე, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად, რაც წარმოადგენს რექტორის მიერ ჩარიცხვის ბრძანების მომზადების საფუძველს. უნივერსიტეტის შიდა გამოცდა ამოწმებს კანდიდატების ზოგად ცოდნას არჩეული სპეციალობის მიმართულებით და ასევე ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე. კანდიდატებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, წარმოადგინონ შესაბამისი სერტიფიკატები, რომლებიც ადასტურებენ მათ ენობრივ კომპეტენციას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სხვა დაწესებულებებიდან მობილობის საფუძველზე ჩარიცხვის შესაძლებლობას წელიწადში ორჯერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და მათი დამტკიცების პროცედურა.
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- თვითშეფასების ანგარიში;

- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთა, ფაკულტეტის დეკანთან, კანცლერთან და ვიცე-რექტორთან.
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- საბაუნის ვებგვერდი www.sabauni.edu.ge

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია საჯაროდ ხელმისაწვდომი დაშვების წინაპირობების მოთხოვნების დახვეწა, იმის განცხადებით, რომ სასურველია ან სავალდებულო ადამიანური რესურსების მართვის სფეროში გადამოწმებადი პრაქტიკული გამოცდილების არსებობა.

რჩევები: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაშიო მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსების კარგ კომბინაციას, რომელიც ხელს უწყობს პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა დისციპლინებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია პრაქტიკაზე, მაგრამ, ამავდროულად, მოითხოვს ინოვაციურ აზროვნებას, რომელიც ეფუძნება უახლეს გამოყენებით კვლევებს. კვლევითი, პრაქტიკული და ტრანსფერული ელემენტები ინტეგრირებულია ერთი კონკრეტული საგნის ან რამდენიმე საგნის ფარგლებში.

ყველა პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი, რომელსაც სხვადასხვა სახელწოდება აქვს, მაგალითად: წარმოების პრაქტიკა, მეწარმეობის პრაქტიკა ან პრაქტიკული კლინიკა.

მაგალითად, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს შემდეგ კურსებს, რომლებიც ავითარებს პრაქტიკულ, სამეცნიერო და კვლევით უნარებს: ადმინისტრაციული წარმოების საფუძვლები, რისკების მართვა და პროექტების მართვის საფუძვლები. სასწავლო გეგმა ასევე მოიცავს საჯარო მმართველობის პრაქტიკულ კლინიკას, რომელიც სტუდენტებს აძლევს პრაქტიკულ ცოდნას და ძირითადად ფოკუსირებულია საჯარო მმართველობის სპეციალისტისთვის საჭირო სამართლებრივი აქტების შესწავლაზე. ამ კურსის ფარგლებში, სტუდენტები ივითარებენ ისეთი დოკუმენტების ანალიზის უნარს, რომლებიც საჯარო მმართველობის სისტემაში უნდა შემუშავდეს და გამოყენებულ იქნას.

რაც შეეხება საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამას პრაქტიკული, სამეცნიერო და შემოქმედებითი უნარების განვითარება უზრუნველყოფილია შემდეგი კურსების საშუალებით: ადმინისტრაციული წარმოება, აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში და პრაქტიკული კლინიკა. სტუდენტები განსაკუთრებით კმაყოფილნი არიან პრაქტიკული კლინიკის შინაარსით და ორგანიზებით. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტები მიზნად ისახავს სტუდენტთა მიერ, საჯარო მმართველობის სფეროში მიღებული ცოდნის გაღრმავებას, საჭირო უნარების განვითარებასა და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

ანალოგიური დაკვირვებები და დასკვნები შეესაბამება კლასტერში დაჯგუფებულ სხვა პროგრამებს, რომლებიც მოიცავს პრაქტიკული კლინიკის კომპონენტს.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით არ ეხება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო გეგმა:
- სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან**	**არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთ ან**
პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასა და სილაბუსებში გათვალისწინებული სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურსა და დარგობრივ მახასიათებელს.

სტუდენტთა ჯგუფები სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების კლასტერში დაჯგუფებულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე მცირე ან შედარებით მცირე ზომისაა, რაც თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალური ინტერაქციის საშუალებას იძლევა, როგორც აუდიტორიაში, ისე დამოუკიდებელ სამუშაოებთან მიმართებით. სტუდენტებმა გამოკვეთეს პროფესორ-მასწავლებლებთან ახლო ურთიერთობა და მარტივი კომუნიკაცია, როგორც უნივერსიტეტის არჩევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

სწავლების მეთოდები მოიცავს: ლექციებს, სემინარებს/სამუშაო ჯგუფებს, პრაქტიკულ სწავლებას, აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენებას, გონებრივ იერიშს, წყვილებად ან ჯგუფურად მუშაობას, ელექტრონული რესურსებით სწავლას, დისკუსიასა და დებატებს, ჯგუფური ან/და ინდივიდუალური კვლევითი პროექტის დაგეგმვას და განხორციელებას ხელმძღვანელის დაკვირვებით ან დამოუკიდებლად, სასწავლო/პროფესიულ პრაქტიკას, ტექსტების, დოკუმენტებისა და სხვა აკადემიური მასალების კომენტირებას, მათი კონტექსტუალიზაციის, ინტერპრეტირების ან ანალიზის მიზნით.

აკადემიური კურსის სპეციფიკიდან, მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, აქტივობები, როგორიცაა ინტერაქტიული სწავლება, შეიძლება მოიცავდეს ჯგუფურ (თანამშრომლობით) მუშაობას, დისკუსიას და დებატებს, ანალიზს, სინთეზს, წერით და ვერბალურ მეთოდებს, დემონსტრირებისა და განმარტების უნარებს. გარდა ამისა, კურსები მოიცავს ინდივიდუალურ საშინაო დავალებებსა და ჯგუფურ დავალებებს, რომლებიც სტუდენტებს ხელს უწყობს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების, ასევე საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის უნარების განვითარებაში.

სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკითხულმა სტუდენტებმა შეაქეს

უნივერსიტეტში ინდივიდუალური სწავლებისა და სწავლის მიდგომა, სხვა ინსტიტუციებთან შედარებით, სადაც მათ უსწავლიათ.

ამჟამად საერთაშორისო სტუდენტები არ არიან არც ერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები საქართველოში ცხოვრობენ ან ცხოვრობდნენ, პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დასრულებამდე, სანამ შესაძლებელი გახდა დისტანციური სწავლების ფორმატების შეთავაზება იმ კომპონენტებში, სადაც საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ეს შესაძლებელი იყო. თუმცა, უნივერსიტეტი გრძელვადიან პერსპექტივაში მზად არის უმასპინძლოს საერთაშორისო სტუდენტებს და უკვე აქვს დადებითი გამოცდილების მაგალითები.

გასაუბრების დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო სტუდენტების მაღალი კმაყოფილების შესახებ სწავლების მეთოდებით, განსაკუთრებით პრაქტიკული უნარების განვითარების კუთხით.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო გეგმა:
- სილაბუსები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ სტუდენტთა შეფასების პროცესი ითვალისწინებს განსაზღვრულ პროტოკოლებს. ყველა

წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს შეფასების სისტემის დეტალურ აღწერას. ასევე, თითოეული სილაბუსი შეიცავს შეფასების კრიტერიუმებსა და პროცედურებს, რომლებიც საშუალებას იძლევა შეფასდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა სასწავლო მიზნებს.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი იყენებს სწავლის შედეგების შეფასების სათანადო, გამჭვირვალე და სამართლიან სისტემას, რომელიც შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობას და ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და შეფასება ხდება გამჭვირვალე პროცედურების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება კომისიის წევრების მიერ კოლეგიალურ შეფასბას.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება შედგება მრავალკომპონენტიანი სისტემისგან და ფორმულირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების საფუძველზე, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“. სტუდენტთა შეფასების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს აღნიშნული წესი.

გამოყენებულია შემდეგი სქემა:

დადებითი შეფასების ხუთი ტიპი:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას შესაბამისი კრიტერიუმებით. სასწავლო პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის

ვებგვერდზე – https://www.sabauni.edu.ge/ka/content/chven-shesakheb/universiteti/dokumentebi/maregulirebeli-dokumentebi.

შეფასების შედეგები ასახულია ელექტრონულ ბაზაში (student.sabauni.edu.ge), რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს როგორც სწავლის შედეგებზე, ისე საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის გამოვლენის სპეციალურ პროგრამას – "Strikeplagiarism.com". პლაგიატის შემოწმების პროცედურის შესახებ რეგულაციის მიხედვით, ნაშრომში პირდაპირი ციტატების წილი არ უნდა აღემატებოდეს მთელი ნაშრომის 10%-ს. დაუდასტურებელი ტექსტის არსებობა ნაშრომში დაუშვებელია (0%). პლაგიატისა თუ აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოვლენა ხდება ადმინისტრაციის, ლექტორების ან სტუდენტთა ნაშრომის შემოწმებაში ჩართული პირების მიერ.

უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმი, ასევე სააპელაციო მექანიზმები, რომელიც სასწავლო პროცესსა და აკადემიურ და ადმინისტრაციულ ორგანოებთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება და აღწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აკონტროლებს სტუდენტთა შეფასების სანდოობასა და ვალიდურობას. შეფასების შედეგები ანალიზდება და ანალიზის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერები
- სილაბუსები;
- მონაცემთა ელექტრონული ბაზა (student.sabauni.edu.ge);
- შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐

3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა შექმნა და განავითარა სტუდენტთა მხარდაჭერისა და კონსულტაციის სერვისები, რომლებიც მოიცავს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას, დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებას. სტუდენტების ინფორმირება იწყება სწავლის პროცესის პირველ დღეს, ორიენტაციის შეხვედრებით, განსაკუთრებით პირველკურსელი სტუდენტებისთვის. ფაკულტეტებისა და შესაბამისი პროგრამების წარმომადგენლები მათ შეხვედრებზე აწვდიან ყველა საჭირო ინფორმაციას. ასევე, პროგრამებში ჩართული პერსონალი და დამხმარე დეპარტამენტები სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციების შესახებ.

ფაკულტეტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის საჭირო სივრცეებსა და აღჭურვილობას და ასევე უზრუნველყოფს სივრცეების არსებობას ექსტრაკურიკულარული აქტივობებისთვის.

წარმოდგენილი ფაკულტეტების სტუდენტები მონაწილეობენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, ERASMUS+ დაფინანსების ფარგლებში ან ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. უნივერსიტეტი ასევე ზრუნავს იმ სტუდენტების წახალისებაზე, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი აკადემიური შედეგებით და მიღწევებით. უნივერსიტეტში დაწესებულია სტიპენდიები. ფაკულტეტებმა ბიუჯეტში გამოყვეს თანხები რამდენიმე სახელობითი სტიპენდიისთვის, მაგალითად – მიხეილ თამარაშვილის სახელობის სტიპენდია, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სტიპენდია, ფაკულტეტის სტიპენდია.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა მენეჯერები უზრუნველყოფენ პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების შესახებ ინფორმაციული ღონისძიებების ორგანიზებას. მენეჯერები წელიწადში ერთხელ აწყობენ დასაქმების ფორუმს, რომელიც მიზნად ისახავს პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვასა და მათთან თანამშრომლობის უზრუნველყოფას. ფორუმის ფარგლებში, ხდება პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა ვაკანსიებთან დაკავშირებით, ხოლო მათი ადამიანური

რესურსების ოფიცრები ან მენეჯერები სტუდენტებთან აწყობენ გასაუბრებას . დასაქმების ფორუმი საშუალებას აძლევს სტუდენტებს პოტენციურ დამსაქმებლებს გაუზიარონ თავიანთი უნარები და ცოდნა და ამით მართონ თავიანთი კარიერული განვითარება. ხშირად, ზოგიერთი ორგანიზაცია სპეციალურად უნივერსიტეტისთვის გეგმავს სტაჟირების პროგრამებს; ყველაზე წარმატებულს კი სთავაზობენ დასაქმებას.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ინფორმაციის გავრცელებისთვის იყენებს შემდეგ საშუალებებს: უნივერსიტეტის ვებსაიტები (https://www.sabauni.edu.ge/; student.sabauni.edu.ge), უნივერსიტეტის ელფოსტა და სტუდენტებთან ინდივიდუალური/პიროვნული კომუნიკაცია.

ზემოთ აღნიშნული სერვისების გარდა, აკადემიური, მოწვეული და სხვა ადმინისტრაციული პერსონალიც ჩართულია სტუდენტებისთვის სწავლის პროცესის შესახებ კონსულტაციების გაწევაში, ასევე თითოეული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებში, რაც დადასტურდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების დროს.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით არ ეხება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პერსონალის სამუშაო დატვირთვა, ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სამუშაოს აღწერილობა;
- სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების სია.
- ინფორმაცია სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში.
- ინფორმაცია სტუდენტთა ჩართულობის შესახებ გაცვლით პროგრამებში.
- ვებსაიტები; (https://www.sabauni.edu.ge/; student.sabauni.edu.ge)
- გასაუბრებისს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა შეიმუშავა მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების უფლებებისა და მოვალეობების მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც ეფუძნება „სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების პროცედურას," დამტკიცებულს რექტორის ბრძანებით №50-24; 28.03.2024.

ზემოთხსენებული დოკუმენტების მიხედვით, სამეცნიერო ხელმძღვანელი რეგულარულად ატარებს კონსულტაციებს მაგისტრანტებთან. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია პროგრამისა და კვლევის თემის სპეციფიკაზე. მაგისტრანტებს ხელმძღვანელობენ შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც აქვთ შესაბამისი პუბლიკაციები, სამეცნიერო აქტივობები, გამოცდილება შემოქმედებით და კვლევით პროექტებში და სხვ. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეუძლია პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პროფესორებს. სტუდენტებს აქვთ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა როგორც თემის, ისე სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევაში. ამ ნაწილში, ნაშრომის თემა მოქმედებს როგორც ფილტრი: სტუდენტმა უნდა შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი თავისი თემის შესაბამისად.

მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელი ასევე ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით სფეროში ინტეგრირებაში და პასუხისმგებელია მაგისტრანტის მიერ შესრულებულ ნაშრომში პლაგიატის პრევენციაზე. პროფესორის ხელშეკრულების მოთხოვნების მიხედვით, ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს არ შეუძლია ერთდროულად ჰყავდეს 5-ზე მეტი მაგისტრანტი. განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია მაგისტრანტების უფრო დიდი რაოდენობის ხელმძღვანელობა მხოლოდ ფაკულტეტის დეკანისა და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის წინასწარი თანხმობით, სემესტრული საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით და ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან შეთანხმებით. ორი მაგისტრანტის თანახელმძღვანელობა ერთი სრული სამაგისტრო ხელმძღვანელის დატვირთვის ტოლფასია.

პლაგიატის პრევენციის მიზნით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი იყენებს „Strikeplagiarism.com"-ს. პლაგიატის შემოწმების პროცედურის მარეგულირებელი დოკუმენტი მოიცავს საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე სტუდენტების ნაშრომების (ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა, მონოგრაფია, სტატია, სამაგისტრო ნაშრომი, საბაკალავრო ნაშრომი) შემოწმების პროცედურებსა და მოთხოვნებს.

სამაგისტრო ნაშრომების შემოწმებამ გამოავლინა საჭიროება, რომ გაძლიერდეს სტუდენტების სამეცნიერო კვლევის ინსტრუმენტები და აკადემიური წერის უნარები, ასევე აკადემიური სტილი, წყაროების ვერიფიკაცია და ბიბლიოგრაფიის გამართვა, რადგან ნაშრომებში მოცემული ბიბლიოგრაფიული მითითებები არ შეესაბამებოდა საბოლოო ნაშრომებისათვის ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში მიღებულ ზოგად სტანდარტებს.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების რაოდენობის თანაფარდობის მეთოდოლოგია.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში შეადგენს 12/16-ს. აღნიშნულ პროგრამაში კვლევითი კომპონენტის წარმატებით დასრულების საფუძველს წარმოადგენს სტუდენტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში განსაზღვრული ყველა ეტაპის დროული შესრულება, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის რეგულაციით.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 3 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	12/0
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	არ ეხება
მაგისტრანტების რაოდენობა	16
დოქტორანტების რაოდენობა	არ ეხება
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	12/16

თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	არ ეხება

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (სახელწოდება და საფეხური)

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამაში სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა შეადგენს 8/6-ს. აღნიშნულ პროგრამაში კვლევითი კომპონენტის წარმატებით დასრულების საფუძველს წარმოადგენს სტუდენტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში განსაზღვრული ყველა ეტაპის დროული შესრულება, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის რეგულაციით.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	8/0
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	არ ეხება
მაგისტრანტების რაოდენობა	6
დოქტორანტების რაოდენობა	არ ეხება

თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	8/6
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	არ ეხება

პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაში სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა შეადგენს 10/8-ს. აღნიშნულ პროგრამაში კვლევითი კომპონენტის წარმატებით დასრულების საფუძველს წარმოადგენს სტუდენტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში განსაზღვრული ყველა ეტაპის დროული შესრულება, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის რეგულაციით.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	10/0
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	არ ეხება
მაგისტრანტების რაოდენობა	8
დოქტორანტების რაოდენობა	არ ეხება
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	10/8
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	არ ეხება

„სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების პროცედურის“ დოკუმენტი აღწერს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებასა და განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მაგისტრანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები
- სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების პროცედურა
- პლაგიატის შემოწმების რეგულაცია.
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო, ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო და საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამები

რეკომენდებულია ყველა სამაგისტრო პროგრამაში გაძლიერდეს სტუდენტების მიერ სამეცნიერო კვლევის ინსტრუმენტების გამოყენება და აკადემიური წერის უნარები, აკადემიური სტილი, წყაროების გადამოწმება და ბიბლიოგრაფიის შესრულება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის სხვა ინსტიტუციების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გაზიარებითა და ნაშრომების საფუძვლიანი ტექნიკური გადახედვის უზრუნველყოფით

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და	**შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშ**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშ**	**არ არის შესაბამისობაშ**

დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	მოთხოვნებთან	ია მოთხოვნებთან	ია მოთხოვნებთან	ი მოთხოვნებთან
პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადამიანური რესურსები, საერთო ჯამში საკმარისია პროგრამის განხორციელებისათვის. თავდაპირველად, ექსპერტთა ჯგუფის მთავარი წუხილი იყო მოწვეული პერსონალის შედარებით მაღალი რაოდენობა, თუმცა ეს გამართლებული იყო კლასტერის პროგრამებზე მიღებული სტუდენტების მცირე რაოდენობით და იმ აუცილებლობით, რომ სასწავლო შინაარსი შესაბამისობაში იყოს დარგის მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება პროგრამისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების მიღწევას. „პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, უნივერსიტეტმა დააწესა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის ზღვრული მაჩვენებლები, ასევე აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა. პროგრამის სტრუქტურა ისეა ორგანიზებული, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროცესის მდგრადობას. პერსონალის რაოდენობა რაოდენობრივად და თვისებრივად საკმარისია პროგრამაზე სასწავლო პროცესის მხარდაჭერისთვის.

პროგრამაში სულ ჩართულია 44 თანამშრომელი, მათ შორის 19 აკადემიური და 25 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მათ შორის ორი უცხოელი ლექტორის, ამჟამინდელი განაწილება დადასტურებულია ისეთი დოკუმენტაციის საფუძველზე, როგორიცაა პირადი საქმეები, რეზიუმეები, განათლების დამადასტურებელი სერთიფიკატები და კვალიფიკაციები. აღნიშნული დოკუმენტაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა ანგარიშში „ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ“, ასევე დადასტურებულია პირადი საქმეების ჩანაწერებით.

პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[7]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[8]	
სულ აკადემიური პერსონალი	**44**	**35**	**22**	**13**
- პროფესორი	6	6	6	5
- ასოცირებული პროფესორი	11	11	11	7
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	1	-
- ასისტენტი	1		-	1
მოწვეული პერსონალი	25	17	4	_
სამეცნიერო პერსონალი				

მიუხედავად იმისა, რომ მოწვეულ პერსონალის უმრავლესობას გააჩნია მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილება როგორც კერძო ბიზნესში, ისე საჯარო სექტორში, მათი უმრავლესობა არ ფლობს დოქტორის ხარისხს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა შეადგენს 0.76-ს. აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი დაახლოებით 22%-ია, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში – 45%. რაც შეეხება პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო აქტივობას (სტატიები, კონფერენციები) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ეს მაჩვენებელი 93-ს შეადგენს. როგორც აკადემიურ პერსონალთან ჩატარებულ ინტერვიუში გამოიკვეთა, უნივერსიტეტი მხარს უჭერს და აფინანსებს სამეცნიერო საქმიანობას, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობაში, ისე გააჩნია პრაქტიკული გამოცდილებაც და იგი უშუალოდ მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში. ამასთან, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (54 ადამიანი) აქტიურ როლს ასრულებს საგანმანათლებლო პროგრამაში, რათა მოემსახუროს სტუდენტებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება პროგრამისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის

[8] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მიზნების მიღწევას. „პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, უნივერსიტეტმა დააწესა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის ზღვრული მაჩვენებლები, ასევე აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა. პროგრამის სტრუქტურა ისეა ორგანიზებული, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროცესის მდგრადობას. პერსონალის რაოდენობა რაოდენობრივად და თვისებრივად საკმარისია პროგრამაზე სასწავლო პროცესის მხარდაჭერისთვის.

პროგრამაში ჩართულია სულ 38 ადამიანი, მათ შორის 16 აკადემიური და 22 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მათ შორის ორი უცხოელი ლექტორის, ამჟამინდელი განაწილება დადასტურებულია ისეთი დოკუმენტაციის საფუძველზე, როგორიცაა პირადი საქმეები, რეზიუმეები, განათლების დამადასტურებელი სერთიფიკატები და კვალიფიკაციები. აღნიშნული დოკუმენტაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა ანგარიშში „ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ“, ასევე დადასტურებულია პირადი საქმეების ჩანაწერებით.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[9]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[10]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**38**	**34**	**25**	**11**
- პროფესორი	5	5	5	5
- ასოცირებული პროფესორი	10	10	10	6
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	1	-
- ასისტენტი	-		-	-
მოწვეული პერსონალი	22	18	9	_

[9] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[10] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სამეცნიერო პერსონალი				

მიუხედავად იმისა, რომ მოწვეული პერსონალიდან ბევრს აქვს ძლიერი პროფესიული და პრაქტიკული გამოცდილება როგორც კერძო ბიზნესში, ისე საჯარო სექტორში, მათი 50% არ ფლობს დოქტორის ხარისხს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა შეადგენს 0.73-ს. აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი დაახლოებით 42%-ია, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში – 78%. რაც შეეხება სამეცნიერო აქტივობებს (მაგ., სტატიები, კონფერენციები), პროგრამაში ჩართული პირები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ 48 სამეცნიერო ღონისძიებაში. აკადემიურ პერსონალთან ჩატარებულ ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს და აფინანსებს სამეცნიერო აქტივობებს, ხოლო ბოლო ორი წლის განმავლობაში ეს მიმართულება მნიშვნელოვნად განვითარდა.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია ფართო აკადემიური, სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება და იგი უშუალოდ მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში. ამასთან, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (54 ადამიანი) აქტიურ როლს თამაშობს საგანმანათლებლო პროგრამაში და უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საჭირო სერვისების მიწოდებას.

აღწერა და ანალიზი პროგრამა 3 (საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა)

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამას კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელები ჰყავს. პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს სამართლის დოქტორის ხარისხს, 19-წლიანი პედაგოგიური და 24-წლიანი პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება. იგი არის მონოგრაფიის, ორი სახელმძღვანელოსა და სხვადასხვა სამეცნიერო სტატიის ავტორი/თანაავტორი.

პროგრამის თანახელმძღვანელი ფლობს სამართლის მაგისტრის ხარისხს და არის დოქტორანტი თსუ-ში. იგი 9 წელია საჯარო სექტორში მუშაობს. ამჟამად იგი საჯარო მოხელეა და არის სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტი.

უნივერსიტეტი იყენებს „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“ პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობის განსასაზღვრად. პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა და მათი სამუშაო დატვირთვა საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად. პერსონალი ფლობს საჭირო აკადემიურ და პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც შეესაბამება სწავლის სფეროს მოთხოვნებს. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მომსახურებით.

პროგრამა 3 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[11]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[12]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**75**	**26**	**21**	**35**
- პროფესორი	12	10	10	10
- ასოცირებული პროფესორი	20	10	10	17
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	-	-
- ასისტენტი	8	8	-	8
მოწვეული პერსონალი	34	5	1	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი მაღალ-კვალიფიციურია. იგი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორი და განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელია. იგი ფლობს ეკონომიკის დოქტორის ხარისხს და ასწავლის პოლიტიკური ეკონომიკას. მან საერთაშორისო ეკონომიკაში დაიცვა დისერტაცია, მისი ნაშრომების უმეტესობა საერთაშორისო ვაჭრობასა და საქართველოს გლობალურ ეკონომიკაში ოპტიმალურ ინტეგრაციას ეხება. იგი ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევით პროექტს „არასატარიფო ბარიერების გავლენა საქართველო-

[11] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[12] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

ევროკავშირის ვაჭრობაზე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კონტექსტში.“ გარდა ამისა, იგი მონაწილეობდა კავკასიურ შვეიცარიული აკადემიური ქსელის პროექტში მკვლევარის რანგში, რომელიც ბიზნეს გარემოს კვლევას ეხებოდა. იგი არის მრავალი საერთაშორისო ღონისძიების მონაწილე, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემებს ეხება; იგი ხშირად არის მომხსენებელი და სექციის ხელმძღვანელი. 25 წელზე მეტია, რაც კითხულობს ლექციებს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ ისეთ საგნებში, როგორიცაა: საერთაშორისო ეკონომიკა, საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო ბიზნესი, მსოფლიო ეკონომიკა და სხვა დაკავშირებული დისციპლინები. 2008-2012 წლებში ორგანიზება გაუწია 5 საერთაშორისო კონფერენციას საქართველოში. მას გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში; იგი ბიზნეს სისტემების საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის წევრია.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში მოქმედი „პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. მეთოდოლოგიის სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით, პროგრამაში ჩართულია 13 აკადემიური პერსონალი, რომელთაგანაც 9 აფილირებულია და 4 არააფილირებული. მოწვეული პერსონალის რაოდენობა 9-ს შეადგენს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და სტუდენტებისთვის კონსულტაციების შესაძლებლობას, მათი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობისთვის საჭირო დროის გათვალისწინებით.

პროგრამა 4 ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**22**	**22**	**16**	**9**
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	8	8	8	5

- ასისტენტ–პროფესორი	1	1	1	-
- ასისტენტი	1	1	-	1
მოწვეული პერსონალი	9	9	4	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა)

ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს ეკონომიკის დოქტორი, რომელსაც აქვს 22-წლიანი გამოცდილება საჯარო სექტორის სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მათ შორის აღმასრულებელ, საკანონმდებლო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

„აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, პროგრამას ახორციელებს 11 თანამშრომელი, მათგან 10 აფილირებულია და 1 არააფილირებული. ამ პროგრამაზე მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 19-ს. პერსონალის აღნიშნული თანაფარდობა, სადაც მოწვეული პერსონალი ჭარბობს, განპირობებულია პროგრამის ძალიან პრაქტიკული ხასიათით, რომელშიც ინდუსტრიის წარმომადგენლების ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. არსებული თანაფარდობა ასევე დაკავშირებულია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში დასაქმებული სხვა პერსონალის მხრიდან ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით კომპეტენციების ნაკლებობასთან. ბიზნესის ადმინისტრირების ზოგადი და თეორიული საგნები შეიძლება აკადემიური პერსონალის მიერ იყოს შეთავაზებული, მაგრამ კონკრეტული კომპეტენციების მიწოდება საჭიროებს მოწვეულ პერსონალს, რომლებიც თავიანთი პროფესიული დისციპლინების სპეციალისტები არიან.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

მოწვეული პერსონალი)				
სულ აკადემიური პერსონალი	**30**	**28**	**11**	**10**
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	8	8	8	7
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	1	1	-	1
მოწვეული პერსონალი	19	17	1	-
სამეცნიერო პერსონალი	-			

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა)

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო ხელმძღვანელები მაღალ-კვალიფიცირებულები არიან. პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს სამართლის დოქტორის ხარისხს, 19-წლიანი პედაგოგიური და 24-წლიანი პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება. იგი არის მონოგრაფიის, ორი სახელმძღვანელოსა და სხვადასხვა სამეცნიერო სტატიის ავტორი/თანაავტორი. პროგრამის თანახელმძღვანელი ფლობს სამართლის მაგისტრის ხარისხი და არის დოქტორანტი თსუ-ში. იგი 9 წელია საჯარო სექტორში მუშაობს. ამჟამად იგი საჯარო მოხელეა და არის სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა და მათი სამუშაო დატვირთვა საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად. პერსონალი ფლობს აუცილებელ აკადემიურ და პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც შეესაბამება სასწავლო დარგის მოთხოვნებს. სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მომსახურებით.

პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა				
პროგრამაში ჩართული პერსონალის	პროგრამაში ჩართული	მათ შორის დარგობრივი	მათ შორის, დარგობრივი	მათ შორის, აფილირებულ

რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პერსონალის რაოდენობა	მიმართულებით პერსონალი	მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	ი აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**36**	**35**	**19**	**27**
- პროფესორი	8	7	7	7
- ასოცირებული პროფესორი	10	10	9	10
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	-	1
- ასისტენტი	9	9	-	9
მოწვეული პერსონალი	8	8	3	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების რაოდენობრივი მონაცემები
- ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ
- პერსონალის მიმდინარე დატვირთვა
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- პროგრამების მიხედვით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- ორგანიზაციული სახელმძღვანელო
- პერსონალის პირადი საქმეები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- მიუხედავად მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებისა, სასურველია, მოწვეული პერსონალის უმრავლესობა ფლობდეს დოქტორის ხარისხს.

- ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო აქტივობების რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, თანაფარდობა აქტივობების სრულ რაოდენობასა და პერსონალის სრულ რაოდენობას შორის აჩვენებს, რომ პერსონალი შეიძლება მეტად იყოს ჩართული სამეცნიერო აქტივობებში (სტატიები, კონფერენციები).

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 - ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამა 6 - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხელმძღვანელების კვალიფიკაცია შესაბამისია ყველა სამაგისტრო პროგრამისათვის, გარდა სამაგისტრო პროგრამისა „ადამიანური რესურსების მართვა“, რომლის შეფასებაც მიმოხილვის ჯგუფმა ვერ შეძლო ინფორმაციის ნაკლებობის გამო.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სამაგისტრო სასწავლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“)

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისათვისპროგრამა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალით. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სადისერტაციო თემის განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თანახელმძღვანელის მოწვევა.

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა) [13]			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

[13] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

		მქონე ხელმძღვანელები[14]	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**5**	**5**	**3**
- პროფესორი	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	1	1	-
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	1	1	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 („ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა“)

სამაგისტრო პროგრამაზე „ადამიანური რესურსების მართვა“ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის გამოცხადებულ ხელმძღვანელთა საერთო რაოდენობა პროგრამის სპეციფიკაციაში არის 8. თუმცა, არ არის მოცემული დეტალური ჩაშლა ხელმძღვანელების ტიპისა და კონკრეტული სახელების მიხედვით. შესაბამისად, შეუძლებელია შესაბამისობის შეფასება. მიუხედავად ამისა, გამოცხადებული ხელმძღვანელების რაოდენობა საკმარისია პროგრამის სტუდენტების რაოდენობისათვის.

პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვა“ მაგისტრატურა)[15]			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [16]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი

14 ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

15 აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

16 ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**8**	**8**	**8**
- პროფესორი	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (სამაგისტრო სასწავლო პროგრამა „საჯარო მმართველობა“)

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისათვისპროგრამა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალით. სააკრედიტაციო ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ დისერტაციის თემის განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თანახელმძღვანელის მოწვევა.

პროგრამა 6 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)[17]			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [18]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**27**	**19**	**18**
- პროფესორი	8	7	7

[17] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

[18] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

- ასოცირებული პროფესორი	10	9	10
- ასისტენტ–პროფესორი	1	-	1
მოწვეული პერსონალი	8	3	-
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის CV-ები;
- სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის პროექტის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების წესი;
- სააკრედიტაციო ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 5 (სამაგისტრო პროგრამა „ადამიანური რესურსების მართვა“)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შეფასების განსახორციელებლად წარმოდგენილ იქნას სამეცნიერო ხელმძღვანელების სრული სია კატეგორიების მიხედვით (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე, აფილირებული და ა.შ.) და მიეთითოს პროგრამისთვის კონკრეტული ხელმძღვანელების ვინაობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და	**შესაბამისობაშია**	**მეტწილად შესაბამისობაშ**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშ**	**არ არის შესაბამისობაშ**

დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	მოთხოვნებთან	ია მოთხოვნებთან	ია მოთხოვნებთან	ი მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი))	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვა, მაგისტრატურა)	☐	☐	☐	X
პროგრამა 6 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამის პერსონალის შეფასებასა და შეფასების შედეგების ანალიზს.
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უფრო მეტიც, იგი ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით მუშაობას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასების შედეგებისა და მათი გამოყენების წესების“, აგრეთვე „სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასების და ხელშეწყობის წესების“ საფუძველზე. შეფასება ეფუძნება შემდეგ ორ მეთოდს:

•აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება და საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი.

•საგანმანათლებლო პროგრამა და მისი განმახორციელებლების შეფასება სტუდენტის მიერ. სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში ემატება ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარი.

შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს ხარისხის მართვის სამსახური.

აკადემიური/მოწვეული პერსონალი ფასდება სემესტრულად. ანალიზის შედეგები უზიარდება ფაკულტეტებს შესაბამისი რეკომენდაციებისათვის. ფაკულტეტების რეკომენდაციები ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დასკვნის მოსამზადებლად, რომელიც შემდეგ ეგზავნება აკადემიურ საბჭოს სამოქმედო გეგმის გამოსაცემად. გეგმის განხორციელებას მონიტორინგს უწევს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური განვითარების აქტივობებსა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემის და ა.შ. დაფინანსებას. აკადემიური პერსონალი მუდმივად მონაწილეობს ერასმუსის პერსონალის გაცვლით პროგრამაში. გასაუბრების დროს დასახელებული მაგალითებია ვიზიტები პოლონეთისა და გერმანიის უნივერსიტეტებში.

თანამშრომლებმა ასევე დაასახელეს არაერთი მონოგრაფიული პუბლიკაცია, რომელთა დაფინანსება მოხდა უნივერსიტეტის მიერ.

უნივერსიტეტი ასევე მხარს უჭერს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს საერთაშორისო და ადგილობრივ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიღებაში.

უნივერსიტეტი ასევე შესაძლებლობას აძლევს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გამოაქვეყნონ აკადემიური ნაშრომები საუნივერსიტეტო ჟურნალებში, როგორიცაა – Journal of Development Studies, Orbelian Law Review და ა.შ.

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით არ ეხება**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და მხარდაჭერის წესი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი))	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა დაეთვალიერებინა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სხვადასხვა ობიექტები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზუალურად შეამოწმა:

- ✔ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა და მიმდებარე ტერიტორია, სხვადასხვა ტექნიკური მოთხოვნებითურთ (სიგნალიზაცია, ცეცხლმაქრი, ევაკუაციის გეგმა, ვიდეო კონტროლი);
- ✔ კომპიუტერებითა და პროექტორებით აღჭურვილი აუდიტორიები;
- ✔ შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი;
- ✔ ბიბლიოთეკა და სამკითხველო ოთახი, სადაც სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე (EBSCO; HeinOnline, Elsevier, UpToDate), ასევე შეუძლიათ გამოიყენონ წიგნების კოლექციის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ვერსიები. მათ მიერ წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა შერჩევით იქნა გადამოწმებული. უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა სტატისტიკური მასალები სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ;

✔ სტუდენტებისთვის გათვალისწინებული სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ როგორც მუშაობა, ისე თავისუფალი დროის გატარება;
✔ სრულად აღჭურვილი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 2024 წელს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი აკადემიური პროცესის მხარდასაჭერად სრულად არის აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები გამოიყენება ამ კლასტერში მოცემული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, მათი მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტებს აქვთ შეუზღუდავი წვდომა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე, რაც მოიცავს:

ობიექტები - საგანმანათლებლო პროგრამები ტარდება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტებში, რომლებიც ხელმისაწვდომია 24/7, სრულად შეესაბამება ყველა სანიტარიულ, ჰიგიენურ და უსაფრთხოების ნორმებს. ეს ობიექტები აღჭურვილია სიგნალიზაციის სისტემებით, ცეცხლმაქრებით და ვიდეო სათვალთვალო კამერებით მთელ ტერიტორიაზე, დაცვის თანამშრომლებით, რომლებიც იცავენ წესრიგს. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ობიექტები აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა ტექნიკურ მოთხოვნას და ლექციებისა და პრაქტიკული სესიებისთვის გამოყოფილ სივრცეებთან ერთად უზრუნველყოფლია საჭირო აღჭურვილობითა და ინვენტარით, მათ შორის 23 პროექტორით, 831 სკამით, 686 მაგიდით, 36 დაფით, 30 მრავალფუნქციური პრინტერით, 79 ლეპტოპით, 57 სამაგიდო კომპიუტერით, ერთი ბრაილის შრიფტიანი პრინტერით და ერთი სმარტ დაფით. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე წესრიგს იცავს დაცვის სამსახური. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შშმ პირთა საჭიროებები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც მთავარი საგანმანათლებლო შენობის მესამე სართულზე მდებარეობს, გადამწყვეტ როლს ასრულებს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში. ის სთავაზობს კარგად ორგანიზებულ გარემოს ყოვლისმომცველი რესურსებით, მომსახურებებით და ხედვით განვითარებისათვის. ბიბლიოთეკა შეიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე ელექტრონულ კოლექციებს, რომლებიც შეესაბამება კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებებს. პროგრამის სილაბუსებში ასახული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია და კოლექციის განახლება ხდება რეგულარულად, რათა ასახოს მნიშვნელოვანი წინსვლა

დარგში და უახლესი სამეცნიერო კვლევების შედეგები. სტუდენტებსა და პერსონალს აქვს ავეჯითა და კომპიუტერებით აღჭურვილ კომფორაბელურ სამკითხველო დარბაზზე, ინტერნეტსა და საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებზე წვდომა, როგორებიცაა EBSCO და HeinOnline. ბიბლიოთეკას ასევე აქვს ელექტრონული კატალოგი, რაც უზრუნველყობს სასურველ ლიტერატურაზე ადვილ წვდომას და ხელს უწყობს ეფექტიანი ცირკულაციის პროცესებს. დაახლოებით 25000 ერთეულის საერთო კოლექციით, მათ შორის წიგნებით, ჟურნალებითა და თეზისებით ბევრ ენაზე, ბიბლიოთეკა მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს თავისი მომხმარებლების მრავალფეროვანი საჭიროებები. ექსპერტთა ჯგუფმა ორჯერ გადაამოწმა კურსების სილაბუსიდან რამდენიმე სათაური, რომლებიც შემთხვევით იქნა შერჩეული და როგორც აღმოჩნდა, ყველა მათგანი ხელმისაწვდომი იყო ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს ექსპერტებმა დაუსვეს რამდენიმე შეკითხვა იმის შესახებ, გააცნეს თუ არა მათ ინფორმაცია აკადემიური ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. მათ დაადასტურეს, რომ ეს თემა მათთვის იყო ახსნილი აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსებში. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმაც მიაწოდეს მათ ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ჩამოთვლილია რამდენიმე მომსახურება და აღნიშნულია, რომ არსებობს კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა, სწავლებისა და სწავლის ხარისხის შემდგომი მხარდაჭერის მიზნით, ექსპერტთა გუნდს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ბიბლიოთეკამ შეიმუშაოს ტრენინგ-მოდული აკადემიური მონაცემთა ბაზების გამოყენების თაობაზე და პროაქტიულად შეუწყოს ხელი მის პრომოუშენს სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებში.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი აღჭურვილია სრულად კეთილმოწყობილი საგამოცდო ცენტრით, რომელიც უზრუნველყოფილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებით, ასევე გათბობის, ვენტილაციისა და კონდიცირების მოწინავე სისტემებით. უნივერსიტეტში შექმნილია პირობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის, რაც უზრუნველყოფილია ლიფტებით, პანდუსებითა და ხელმისაწვდომი საპირფარეშოებით. დაწესებულება ამაყობს უახლესი ინფრასტრუქტურით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ობიექტის სათანადოდ აღჭურვას აკადემიური საქმიანობისათვის, შესაფერის გარემოს სტუდენტებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. უნივერსიტეტს, თავისი პროგრამების განსახორციელებლად, გააჩნია ყველა საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;

- დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობისა და წიგნადი ფონდის ფლობას;
- ხელშეკრულებები აკადემიურ მონაცემთა ბაზის პროვაიდერთან;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- გამოკითხვის შედეგები;
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს;
- ობიექტების დათვალიერება ადგილზე ვიზიტის დროს;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ბიბლიოთეკამ შექმნას სასწავლო მოდული სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ და აქტიურად წაახალისოს მისი გამოყენება სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის, სწავლა-სწავლების ხარისხის მხარდაჭერის მიზნით.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაშიო მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი))	X	☐	☐	☐

პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ბიზნესის ადმინისტრირების კლასტერში შემავალ სასწავლო პროგრამებს შედარებით მცირე რაოდენობის სტუდენტები ჰყავთ მაშინ, როდესაც კონკურენცია და სტუდენტური ადგილების ხელმისაწვდომობაც მაღალია. უნივერსიტეტმა შეგნებულად აირჩია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ფართო პროგრამული შეთავაზების შემუშავებისეული მიდგომა, სტუდენტთა მცირე რაოდენობის შენარჩუნებით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ინდივიდუალური ინტერაქცია პერსონალსა და სტუდენტებს და თავად სტუდენტებს შორის.

ექსპერტთა ჯგუფმა იცის, რომ მცირე რაოდენობის სტუდენტების მქონე პროგრამები არ არის მდგრადი. თუმცა, უნივერსიტეტის მენეჯმენტთან შეხვედრებმა დაარწმუნა ექსპერტთა ჯგუფი, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სფერო უნივერსიტეტისთვის მაღალი პრიორიტეტია და სტუდენტების მცირე, მაგრამ სტაბილური რაოდენობის შენარჩუნება არის მიზანმიმართული განზრახვა. ყველა პროგრამასთან დაკავშირებით, დადასტურდა

უნივერსიტეტის ფარგლებში თანხების გადანაწილების შესაძლებლობა, თუ ასეთი საჭიროება გაჩნდებოდა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (საბაკალავრო სასწავლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“)[19]

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი იძლევა პროგრამის ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვის შესაძლებლობას, როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ჩათვლით. ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს შემოსავლების გამომუშავების უნარს და უზრუნველყოფს ხარჯების შესაბამისობას პროგრამის საჭიროებებთან.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამის 4-წლიანი ბიუჯეტის გეგმა, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს - აკადემიური პერსონალის ანაზღაურების ხარჯებს; სახელმძღვანელოების, წიგნების, ჟურნალების, პერიოდული გამოცემების, რიდერების შეძენის/ბეჭდვის ხარჯებს; კონფერენციების, სემინარების, საჯარო და სხვა მსგავსი ღონისძიებებისთვის საჭირო ხარჯებს; აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო დაფინანსებას და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

აღნიშნული ხარჯები შეპირისპირებულია სტუდენტების წლიური სწავლის საფასურიდან მიღებულ შემოსავლებთან. შემოსავლებისა და ხარჯების შეპირისპირებით დასტურდება აღნიშნული პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („ბიზნესის ადმინისტრირების“ (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო სასწავლო პროგრამა)

„ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა იძლევა პროგრამის ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვის შესაძლებლობას, როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების კუთხით. ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს შემოსავლების გამომუშავების უნარს და უზრუნველყოფს ხარჯების შესაბამისობას პროგრამის საჭიროებებთან. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არის შეუსაბამობა. კერძოდ, ინგლისურენოვან დოკუმენტში მითითებულია სწავლის წლიური საფასურის განსხვავებული ოდენობა (ქართულენოვან დოკუმენტთან შედარებით), რაც მთლიანობაში ცვლის ბიუჯეტის

[19] აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის განსაზღვრული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომელიც განსხვავდება კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების საერთო და ძირითადი მახასიათებლებისგან.
გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, ციკლი), პროგრამა 3 (სახელწოდება, ციკლი) და ა.შ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს მითითების ფორმატი ყოველი მომდევნო კომპონენტის შეფასებისას).

სურათს და აქ არის ბიუჯეტის დეფიციტი. უნივერსიტეტის კანცლერთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ინგლისურ ვერსიაში არის შეცდომა და ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნების გასაკეთებლად გამოიყენა ქართული ვერსია.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამის 4-წლიანი ბიუჯეტის გეგმა, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს - აკადემიური პერსონალის ანაზღაურების ხარჯებს; სახელმძღვანელოების, წიგნების, ჟურნალების, პერიოდული გამოცემების, რიდერების შეძენის/ბეჭდვის ხარჯებს; კონფერენციების, სემინარების, საჯარო და სხვა მსგავსი ღონისძიებებისთვის საჭირო ხარჯებს; აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო დაფინანსებას და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

აღნიშნული ხარჯები შეპირისპირებულია სტუდენტების წლიური სწავლის საფასურიდან მიღებულ შემოსავლებთან. შემოსავლებისა (სტუდენტთა რაოდენობაზე დაყრდნობით) და ხარჯების შეპირისპირებით დასტურდება აღნიშნული პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა. თუმცა, აქ ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტების მცირე რაოდენობას, რომელთა შესაძლო შემცირება მომავალში გამოიწვევს პროგრამის მდგრადობის საკითხის გადახედვას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კანცლერთან და პრორექტორთან გასაუბრებისას გაირკვა, უნივერსიტეტი ამ პროგრამას პრიორიტეტულად მიიჩნევს და მის მხარდასაჭერად დაგეგმილია მის თაობაზე ინფორმირების ამაღლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინიციატივები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 („საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საბაკალავრო პროგრამის „საჯარო მმართველობა“ ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია როგორც პროგრამის ბიუჯეტით, ასევე უნივერსიტეტის რესურსებით. აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ პროგრამის ბიუჯეტისათვის საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის სხვა რესურსები. პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი მოიცავს საბიუჯეტო მუხლებს პერსონალის ხარჯებისთვის, აკადემიური აქტივობების დაფინანსებასთან დაკავშირებულ და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამის სათანადოდ განსახორციელებლად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 („ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა ფინანსურად მდგრადია. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების რაოდენობა შედარებით მცირეა, აკრედიტაციის პროცესში ჩატარებულმა გასაუბრებამ დაადასტურა, რომ გამოყოფილი ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას.

პროგრამის ბიუჯეტი ფარავს პერსონალის ხარჯებს, აკადემიური საქმიანობისა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ხარჯებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 („ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო პროგრამა ახალი პროგრამაა. 2024/2025 სასწავლო წლის ბიუჯეტი პირველ კურსზე 15, ხოლო მეორე კურსზე 6 სტუდენტზეა გათვლილი. ხარჯთაღრიცხვაში შედის – აკადემიური პერსონალის ანაზღაურება, სახელმძღვანელოების, წიგნების, ჟურნალების, პერიოდული გამოცემების, რიდერების ბეჭდვა, ელექტრონული რესურსების შეძენა; კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, საჯარო ლექციები და სხვა კვლევითი აქტივობები; აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის დაფინანსება და რეზერვი გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის. ბიუჯეტი ისეა გათვლილი, რომ პროგრამის 21 სტუდენტიდან შემოსავლები მაინც აღემატებოდეს ხარჯებს. თუმცა ეს იმიტომ ხდება, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების დიდი ნაწილი (შენობები, პერსონალი, ტექნიკური მომსახურება) საერთო ჯამში გაზიარებულია ფაკულტეტსა და უნივერსიტეტს შორის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 („საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამა ფინანსურად მდგრადია. პროგრამა უკვე დიდი ხანია მუშაობს და მას ფინანსური გამოწვევები არ შექმნია. აკრედიტაციის პროცესში ჩატარებულმა გასაუბრებამ დაადასტურა, რომ გამოყოფილი ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას.

პროგრამის ბიუჯეტი ფარავს პერსონალის ხარჯებს, აკადემიური საქმიანობისა და განხორციელების პროცესისათვის საჭირო სხვა ხარჯებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, კანცლერთან და პრორექტორთან;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი))	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი))	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვა, მაგისტრატურა)	☐	☐	☐	X
პროგრამა 6 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი

თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოწოდებულია, სწავლებისა და სწავლის ხარისხის მუდმივი შეფასებისა და საგანმანათლებლო შეთავაზებების მუდმივი გაუმჯობესების გზით, შეინარჩუნოს სწავლების მაღალი სტანდარტები. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ამ მიზნების მისაღწევად, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა დანერგა ხარისხის უზრუნველყოფის რამდენიმე მექანიზმი, მათ შორის - საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, სწავლის შედეგების მიღწევების შეფასება, აკადემიური პროცესების შეფასება და აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის მიმოხილვა.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ეს აქტივობები მოიცავს - სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეების (სტუდენტები, პერსონალი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) გამოკითხვების ჩატარებას; სტუდენტთა ქულების მონიტორინგსა და ანალიზს და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ეფუძნება PDCA (Plan-Do-Check-Act) პრინციპს, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებას და მოქმედებას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების სემესტრული და წლიური გამოკითხვები ტარდება აკადემიური ელექტრონული სისტემის მეშვეობით დაგზავნილი კითხვარების გამოყენებით. დეპარტამენტი ამუშავებს ამ გამოკითხვის შედეგებს ხარისხის შეფასების ანგარიშების შესადგენად. ეს ანგარიშები შემდეგ გადაეცემა ფაკულტეტებს განსახილველად და რეკომენდაციების შესამუშავებლად. ხარისხის მართვის დეპარტამენტი ადგენს საბოლოო ანგარიშებს, რომელსაც წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. ამ დისკუსიების საფუძველზე ყალიბდება იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელი ოპერატიული გეგმა.

პროგრამის თვითშეფასების ჯგუფებში შედიან როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი ფაკულტეტის დონეზე და სხვადასხვა სტრუქტურული

ერთეულებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის მომსახურებებს. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა თვითშეფასებაში ჩართულ პერსონალს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში. როლები გადანაწილებულია მათი კომპეტენციების მიხედვით. აკადემიური პერსონალი ძირითადად პასუხისმგებელი იყო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაზე, ასევე სასწავლო გეგმებში მოცემულ კურსებზე, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალი დაკავებული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებიდან მონაცემების შეგროვებით. თვითშეფასების ჯგუფმა დაადგინა შესაფასებელი კომპონენტები და დანიშნა შემფასებლები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევდა ამ ჯგუფისა და სხვადასხვა ქვეჯგუფების მუშაობას, ინტენსიურად იყო ჩართული დაინტერესებულ მხარეებთან, რათა უზრუნველყოფილიყო პროგრამის შესაბამისობა სფეროს სპეციფიკასთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან. განახლებული პროგრამების შემუშავებისას, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის გაგზავნილი კითხვარები გაანალიზებული იყო პროგრამის მენეჯერისა და ჩართული პერსონალის მიერ, რამაც ხელი შეუწყო პროგრამის გაუმჯობესებას.

ექსპერტთა ჯგუფმა გასაუბრების დროს გადაამოწმა, ჩართული იყო თუ არა პროგრამის შემუშავებაში ყველა ჯგუფი. დადასტურდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის პერსონალთან თანამშრომლობით, აქტიურად არის ჩართული თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისას გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრაში. ეს უწყვეტი ძალისხმევა ასახავს უწყვეტი გაუმჯობესებისადმი ერთგულებას და უზრუნველყოფს ამ კლასტერში მოცემული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. ერთობლივი მუშაობით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის პერსონალი ორიენტირებულია უფრო ეფექტური და პასუხისმგებელი საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე, რომელიც აკმაყოფილებს სტუდენტების საჭიროებებს.

როგორც რამდენჯერმე აღინიშნა გასაუბრების დროს, გადაუდებელმა დისტანციურმა სწავლებამ თანაბრად იმოქმედა ამ კლასტერში მოცემულ ყველა არსებულ პროგრამაზე. COVID-19-ის გავრცელების გამო უნივერსიტეტი თითქმის ოთხი სემესტრის განმავლობაში ატარებდა მეცადინეობებს ონლაინ რეჟიმში. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის შემუშავდა გაიდლაინები და დამატებითი პოლიტიკა/მექანიზმები. უფრო მეტიც, აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ სწავლება-სწავლის აქტივობების წარმართვაში მათ მხარდაჭერა მიიღეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დონეზე პროაქტიულად დაეხმარა აკადემიურ პერსონალს ონლაინ სწავლების წარმართვაში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით არ ეხება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია;
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი))	X	☐	☐	☐

პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების თანახმად, ამ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების შეფასება აჩვენებს უკუკავშირზე რეაგირებისა და პროგრამის ხარისხის უზრუნველსაყოფისადმი უნივერსიტეტის პროაქტიულ მიდგომას. საბაკალავრო პროგრამამ „ბიზნესის ადმინისტრირება“ წარმატებით გაართვა თავი აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებს შეფასების კრიტერიუმების გადახედვით, სტუდენტების მოტივაციისა და ინგლისური ენის ცოდნის ამაღლების ინიციატივების დანერგვით. ანალოგიურად, სამაგისტრო პროგრამამ „ბიზნესის ადმინისტრირება“ მოახდინაისეთი საექსპერტო რჩევების ინტეგრირება, როგორიცაა ციფრული მარკეტინგის ჩართვა და კომუნიკაციის კურსის გაძლიერება გლობალურ სტანდარტებთან შესაბამისობაში. ახლად შემუშავებულმა პროგრამამ „ადამიანური რესურსების მართვა“ ასევე განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათ შორის კურსების დამატება და აკადემიური ლიტერატურის განახლება, რაც ასახავს ინდუსტრიის საჭიროებებთან ადაპტაციის ვალდებულებას.

სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყოვლისმომცველი გაუმჯობესებით, რომელიც ეფუძნებოდა თავდაპირველი აკრედიტაციის გამოხმაურებას. ძირითადი გაუმჯობესებები მოიცავდა ეკონომიკური და სტრატეგიული

კომპონენტების გაძლიერებას და პრაქტიკული და კვლევითი ელემენტების შეფასების მეთოდოლოგიის დახვეწას. პროგრამამ მოიპოვა დადებითი შეფასებები როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო ექსპერტებისაგან, რომლებმაც ხაზი გაუსვეს მის კარგად დაბალანსებულ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფექტურად აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. ყველა პროგრამაში აშკარაა უნივერსიტეტის რეაგირების უნარი გარე შეფასებებზე და უწყვეტი გაუმჯობესებისადმი ერთგულება, რაც აძლიერებს მის ვალდებულებას აკადემიური სრულყოფისა და აქტუალობისადმი სწრაფად ცვალებად საგანმანათლებლო ლანდშაფტში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)

როგორც წარდგენილ დოკუმენტაციაშია აღნიშნული, საბაკალავრო პროგრამis „ბიზნესis ადმინისტრირება“ ხელახალი აკრედიტაცია განხორციელდა 2019 წლის 30 მაისს. საბჭოს ყველა რეკომენდაცია განხორციელდა სრულად, კერძოდ: გადაიხედა და დაზუსტდა შეფასების კრიტერიუმები კურსებისათვის „მიკროეკონომიკის პრინციპები“, „მაკროეკონომიკის პრინციპები“, „ფინანსური აღრიცხვა“ და „რისკების მართვა“. სტუდენტების მოტივაციის გასაძლიერებლად, უნივერსიტეტმა, თავისი ახალი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, შეიმუშავა ოპერატიული გეგმა, რომელიც მოიცავდა ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა სტუდენტური კონფერენციების გამარჯვებულებისთვის პრიზების მინიჭება, სტუდენტური კვლევის გამოქვეყნება (ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით) უნივერსიტეტის პუბლიკაციებში, ფინანსური წახალისების უზრუნველყოფა და სხვ.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებამ დადასტურდა, რომ ინგლისური ენის ცოდნის გაძლიერების მიზნით პროგრამაში ჩართული იქნენ უცხოელი ლექტორები და დაარსდა ინგლისურენოვანი კლუბი, რომელიც აწყობს სხვადასხვა პროექტებს, რათა დაეხმაროს სტუდენტებს ენის ცოდნის გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, პროგრამა შეაფასეს როგორც ქართველმა, ასევე საერთაშორისო ექსპერტებმა. განახლებულმა ვერსიამ დადებითი გამოხმაურება მიიღო ნორვეგიის ოსტფოლდის საუნივერსიტეტო კოლეჯისაგან. შეფასებამ შეაქო პროგრამა მიზნების ეფექტურად დასახვისათვის, ხაზგასმულია მისი სტრუქტურა, შინაარსი და აქცენტი არსებითი პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. გარდა ამისა, კოლეგამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ასევე წარმოადგინა გამოხმაურება. ჩევები ინკორპორირებული იყო პროგრამის განახლებაში. მათ შორის დაემატა სავალდებულო კურსის "საერთაშორისო ეკონომიკა", რათა სტუდენტებს უფრო ფართო გაგება მისცემოდათ მიმდინარე გლობალური ეკონომიკური საკითხებისა და ტენდენციების შესახებ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი))

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას „ბიზნესის ადმინისტრირება“ ხელახალი აკრედიტაციის პროცესში, 2019 წელს მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია. ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, სავალდებულო მოთხოვნად დაემატა კურსი „ბიზნესის კვლევის მეთოდებში შესავალი“; კურსი „ოპერაციული მენეჯმენტი“ არჩევითი კატეგორიიდან გადავიდა სავალდებულო კატეგორიაში; განახლდა და გადაიხედა კურსის „ბიზნესის სამართლის“ სილაბუსი და სასწავლო მასალები. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებაზე დადასტურდა, რომ ეს ცვლილებები წარედგინა აკრედიტაციის საბჭოს, რომელმაც ანგარიში მიიღო ცნობისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)

პროგრამის ხელმძღვანელმა და თანახელმძღვანელმა გასაუბრებისას განმარტეს, რომ საბაკალავრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ განიხილეს როგორც ქართველმა ექსპერტმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ისე საერთაშორისო ექსპერტმა უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტიდან. მთლიანობაში, შეფასებები იყო დადებითი, რაც ხაზს უსვამდა პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კურსების კარგად დაბალანსებულ კომბინაციას და ეფექტურად უჭერდა მხარს პროგრამის მიზნებს. ერთი რჩევა გაკეთდა უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლის მიერ, რომელმაც რეკომენდაცია გაუწია უფრო მკაფიო ინფორმაციას არჩევითი კურსების შერჩევის პროცესს. თუმცა, ამ საკითხს უკვე შეეხო სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროცესის დებულება“ და შემდგომი კორექტირება აღარ იყო საჭირო.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სამაგისტრო პროგრამამ „ბიზნესის ადმინისტრირება“ გაიარა გარე კოლეგიალური შეფასება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პარტნიორების მიერ. როგორც გასაუბრების დროს აღინიშნა, ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო ციფრული მარკეტინგის კურსის ინკორპორირება ციფრული ტრანსფორმაციის გავლენის მოსაგვარებლად. საერთო ჯამში, ორივე შემფასებელი შეთანხმდა, რომ სამაგისტრო პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის კრიტერიუმებსა და სტანდარტის მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვა მაგისტრატურა)

როგორც გასაუბრებაზე ითქვა, სამაგისტრო პროგრამამ „ადამიანური რესურსების მართვა“, როგორც ახლად დაარსებული პროგრამამ, გაიარა ყოვლისმომცველი აკრედიტაციის პროცესი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩართული პირების მხრიდან მნიშვნელოვანი ძალისხმევა გატარდა, რათა პროგრამას დაეკმაყოფილებინა საჭირო სტანდარტები. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელდა სხვადასხვა ცვლილება, კერძოდ: კურსი „ორგანიზაციული ფსიქოლოგია“, ადრე არჩევითი, გადავიდა სავალდებულო

კურსების ნუსხაში; კურსი „ადამიანის რესურსების მართვა საჯარო სამსახურში“ გადაკვალიფიცირდა სავალდებულოდან არჩევითად; კურსის „კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS“ კრედიტები გაიზარდა 6 კრედიტამდე, გაძლიერებული აქცენტით როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგიაზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ დაწესებულების ანგარიში ამ რეკომენდაციების შესრულების შესახებ მიღებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ. გარდა ამისა, კოლეგიური შეფასებების საპასუხოდ, რომლებიც მიზნად ისახავდა პროგრამის შინაარსისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მართვისა და ადმინისტრირების კათედრისა და საქართველოს საჯარო ბიუროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის გამოხმაურებები და წინადადებები ინკორპორირებულ იქნა პროგრამაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, 2021 წლის თებერვალში უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგინა ანგარიში, სადაც დეტალურად იყო აღწერილი სამაგისტრო პროგრამის „საჯარო მმართველობა“ თავდაპირველი აკრედიტაციის დროს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მოწოდებული რეკომენდაციების შესრულება. ანგარიშში ასახული იყო ყოვლისმომცველი ქმედებები, რომლებიც გატარდა პროგრამის ფარგლებში ყველა შემოთავაზებული გაუმჯობესებისა და მოდიფიკაციის განსახორციელებლად. კერძოდ, პროგრამის ეკონომიკური კომპონენტი გაძლიერდა შესაბამისი სავალდებულო კურსის დამატებით. გარდა ამისა, სავალდებულოდ განისაზღვრა სტრატეგიული და პოლიტიკური დაგეგმვის საგნები, მათ წინაპირობებთან ერთად. განახლდა კურსების აკადემიური ლიტერატურა და ჩაემატა დამატებითი უცხოენოვანი რესურსები.

პროგრამის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ პროგრამამ გაიარა გარე კოლეგიალური შეფასება როგორც ქართველი, ისე საერთაშორისო ექსპერტების მიერ. ყველა შეფასება იყო დადებითი და არ შეიცავდა დამატებით რეკომენდაციებს. მთლიანობაში, ყველა შეფასება ხაზს უსვამდა პროგრამის ძლიერ აქცენტს პრაქტიკულ კომპონენტებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- ანგარიში აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ;
- გარე კოლეგიალური შეფასებები;
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები: არ ეხება

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი))	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐

პროგრამა 6 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოცემული პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული წესებისა და პროცედურების დაცვით. კერძოდ, ამ პროცესში ჩართულნი არიან აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მათთან შეხვედრების საფუძველზე ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება, რომლებიც განიხილება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში, შემდეგ ფაკულტეტის საბჭოზე და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით; სტუდენტებსა და დამსაქმებლების მონაწილეობით, ყოველი წლის ბოლოს ონლაინ გამოკითხვებისა და კითხვარების სისტემატური გაგზავნით. შემდეგ კი ინფორმაცია გროვდება და ანალიზდება პროგრამების დახვეწისა და მოდიფიცირებისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ამ კლასტერში შემოთავაზებული პროგრამები გადიან ყოველწლიურ მონიტორინგს, რომელიც მიზნად ისახავს ჩართული პერსონალის კვალიფიკაციისა და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას . ეს პროცესი მოიცავს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების წვლილს სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი განიხილავს შედეგებს მომავალი ქმედებების ინფორმირებისათვის. როგორც სამაგისტრო, ასევე საბაკალავრო საფეხურებისათვის, ხარისხის მექანიზმები მოიცავს პროგრამების სამეცნიერო კვლევითი კომპონენტების შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრების დროს ითქვა, რომ 2018 წლიდან გამოხმაურების საფუძველზე ინფორმაციის სისტემატურმა შეგროვებამ და ანალიზმა განაპირობა პროგრამის კორექტირება. მაგალითად, სტუდენტებისა და დამსაქმებლების წინადადებების საპასუხოდ კომუნიკაციის, მოლაპარაკებისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად, საბაკალავრო პროგრამამ შემოიღო ისეთი სავალდებულო კურსები, როგორიცაა „კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა“ და „აკადემიური წერა“, რამაც ყოფილი კურსი გაჰყო ორად. აკადემიური შეთავაზებები გაფართოვდა პრაქტიკული უნარების განვითარების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, სტუდენტთა პრეფერენციებისა და ბაზრის მოთხოვნებისადმი მოქნილობით. გარდა ამისა, პერსონალის შეფასების რეკომენდაციები ხშირად ხაზს უსვამდა სტუდენტების მონაწილეობას გაზრდას ექსტრაკურიკულურ აქტივობებში, რაც უბიძგებდა ფაკულტეტებს მოეხდინათ სხვადასხვა ღონისძიებების, მათ შორის კვლევითი კონფერენციების, ბიზნეს კონკურსების და წარმატებული მეწარმეების მასტერკლასების ორგანიზება.

როგორც დაადასტურეს პროგრამების ხელმძღვანელებმა, ამ კლასტერში მოცემული პროგრამები ასევე დაიხვეწა ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან შედარებით, რითაც უზრუნველყოფილ იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო ტენდენციებთან შესაბამისობა.

როგორც წარდგენილი დოკუმენტაცია აცხადებს, აკადემიური, მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა ტარდება ყოველწლიურად და ყოველ სემესტრში. შეგროვებულ მონაცემებს ფაკულტეტები იყენებენ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ანგარიშების მოსამზადებლად, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ამზადებს საერთო ანგარიშებს აკადემიური საბჭოს მიერ განსახილველად. ამის შემდეგ შემუშავდება ოპერატიული გეგმა, რომელშიც მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, განსახორციელებელი ქმედებები, ვადები და პასუხისმგებელი პირები ან ქვედანაყოფები. ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე კითხვა დაუსვა უნივერსიტეტის მიერ მიღებული პასუხების რაოდენობასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტების გამოკითხვა არასავალდებულოა და ზოგიერთ პროგრამაში სტუდენტების რაოდენობა არც თუ ისე მაღალია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ სასურველი იქნებოდა მეტი მონაცემების მიღება, რის გამოც პროაქტიულად აწვდიან ინფორმაციას სტუდენტებს კითხვარების შევსებაში მათი როლისა და მნიშვნელობის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ხარისხობრივი მიდგომის განხორციელება ინფორმაციის შეგროვებისადმი იმ პროგრამებში, სადაც სტუდენტების რაოდენობა არც თუ ისე მაღალია, უმჯობესი იქნებოდა მოხდეს ინტერვიუებითა და ფოკუს ჯგუფებით.

სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას მათ დაადასტურეს, რომ შეფასებული ჰყავთ მათი ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ეს ფორმები, როგორც დამატებითი დოკუმენტი, რაც წარადგინა უნივერსიტეტმა. შეფასების შედეგები ძირითადად იყო პოზიტიური და ჰქონდა ღია კითხვები ცალკეულ ასპექტებზე კომენტარების გასაკეთებლად.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით არ ეხება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გამოკითხვის შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი;
- გასაუბრება ადგილზე ვიზიტის დროს
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ ეხება

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, იმ პროგრამებში, სადაც სტუდენტთა რაოდენობა არ არის მაღალი, დაინერგოს მონაცემთა შეგროვების თვისებრივი მიდგომა, რათა ინფორმაცია შეგროვდეს ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი))	X	☐	☐	☐
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	X	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐
პროგრამა 6 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობასი მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი))	x	☐	☐	☐

პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	x	☐	☐	☐
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვა, მაგისტრატურა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 6 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)	x	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში): -

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი (ინგლისურენოვანი))	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 (საჯარო მმართველობა, ბაკალავრიატი)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 5 (ადამიანური რესურსების მართვა, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 6 (საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

Chair of Accreditation Experts Panel

Asnate Upmace, signature

Of the member(s) of the Accreditation Experts Panel

Nino Parsadanishvili, signature

Iza Bukia, signature

Nanuli Okruashvili, signature

Giga Khositashvili, signature

Giorgi Merabishvili, signature